# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 10 მარტი 1995 № 9 (147) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთის სეზონი

6 მარტს საქართველოს თასის მეოთხედფინალის სამი მატჩით განახლდა: „ქიზიყი" წნორი — „მეტალურგი" რუსთავი 2:6, „ბათუმი" — „საპოვნელა" თერჯოლა 3:1, „ზუგდიდი" — „გურია" ლანჩხუთი 4:1. თბილისის „დინამო" სამტრედიაში პირველ მეოთხედფინალურ მატჩს 10 მარტს გამართავს, არადა, ამ დღეს საპასუხო შეხვედრა თბილისში უნდა ჩატარებულიყო, ექვსში კი, სხვა წყვილების მსგავსად, გუნდებს პირველად უნდა ეთამაშათ, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი: სამტრედიის ერთბაშად თორმეტი (12!) ფეხბურთელი ავად გახდა. საქმეში გასარკვევად თბილისიდან სამტრედიაში სასწრაფოდ მიავლინეს ეროვნული ნაკრების ექიმი დიმიტრი ზაალიშვილი. შემოწმებამ დაადგინა, რომ იმერელ ფეხბურთელებს მწვავე ტრაქეობრონქიტი და ფარინგიტი შეეყრიათ. შეხვედრის გადატანამ დაბადა ბუნებრივი კითხვა: თუნდაც მთელი ძირითადი შემადგენლობა დაავადებულიყო, განა გუნდი მარტო მათგან შედგება? ხომ არ მისცემს ასეთი პრეცედენტი საბაბს სხვა კლუბებს, ვთქვათ, რამდენიმე მოთამაშის დაშავების შემთხვევაში (ავადმყოფობა ტრავმულია თუ ინფექციური, მნიშვნელობა არა აქვს), თამაშის გადადება მოითხოვონ? ამ კითხვაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილების უფროსმა ინსტრუქტორმა ბადრი ქარქაშაძემ მოგვიგო, რომ ჯანმრთელად მყოფი სამტრედიელი ფეხბურთელები. იმდენად ცოტანი არიან, გუნდს ვერ შეკრებენ. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელების შინ გაშვება მოუხდა. კლუბმა თვითმფრინავით მგზავრობისთვის გადახდილი ბეც დაკარგა. იმედია, დღეს ყველაფერი რიგზე იქნება.





საფეხბურთო სეზონის განახლებიდან კვირის თავზე,

## 13 მარტს ვერის ბაღში

საქმეში კალათბურთელებიც ჩაებმებიან. მათ ორ კვირაში, წინასწარი ტურნირი უნდა დაამთავრონ, ექვსეული გამოავლინონ და 4 აპრილს მთავარი ბრძოლებისთვის სპორტის სასახლეში გადავიდნენ.



## ქინქლაძე სათამაშოდ ემზადება

არგენტინაში ქვეყნის საგაზაფხულო ჩემპიონატი დაიწყო. წინა ჩემპიონატში მე-13 ადგილზე გასულმა „ბოკა ხუნიორსმა", რომელსაც არგენტინის ნაკრების ყოფილი წევრი, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე სილვიო მარზოლინი წვრთნის, პირველი მატჩი სტუმრად 1:0 მოიგო. გიორგი ქინქლაძემ, რომელიც ჯერჯერობით აკლიმატიზაციას გადის, პირველი თამაში გამოტოვა. მეორე მატჩი „ბოკას" ოთხშაბათს უნდა ეთამაშა.

## ჩიბურდანიძეს ჯერ არ მოუგია

სანქტ-პეტერბურგში, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტ ქალთა ფინალურ მატჩს ხუთი პარტიის შემდეგ ჟუჟა პოლგარი 3,5:1,5 უგებდა მაია ჩიბურდანიძეს. პირველი ორი ყაიმის შემდეგ უნგრელმა მოიგო მესამე (თეთრებით) და მეოთხე პარტიები. მეტოქეებმა ათი პარტია უნდა ითამაშონ.

## ქართველები ქულებს არიგებენ

1 და 3 მარტს იტალიაში საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ორი შესარჩევი მატჩი წააგო მასპინძელთა ეროვნულ გუნდთან: 15:22 და 16:22. ჯგუფში ოთხი თამაშიდან 8 ქულით ლიტვა ლიდერობს, იტალიას 6 ქულა აქვს, ფინეთს — 2, საქართველოს — 0.

# მითქვამს, ექვსი თვე მაცადეთ-მეთქი

**რუსეთის მორიგი ჩემპიონატი აპრილში დაიწყება. იქ მოასპარეზე ვლადიკავკაზის „სპარტაკს" ქართველი გულშემატკივრები უთუოდ მიაქცევენ ყურადღებას: ოსეთის დედაქალაქში საქართველოს ნაკრების სამი ფეხბურთელი ითამაშებს — მურთაზ შელია, ზაზა რევიშვილი და იოსებ გრიშიკაშვილი. ზაზა და მურთაზი ამას წინათ ორიოდე დღით ჩამოვიდნენ თბილისში. რევიშვილი შეუძლოდ იყო და სალაპარაკოდ ვერ მოვიხელთეთ, შელია კი „დინამოს" ბაზაზე ინდივიდუალური ვარჯიშის შემდეგ უინტურვიუდ ვერ გადაგვირჩა.**



— მე, ზაზა, სოსო და ვლადიმერ გუცაევი 1 იანვრს გავემგზავრეთ ვლადიკავკაზს. ერთი კვირა ბაზაზე გავატარეთ. თავიდან, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა: გაზაევმა ფიზიკურად ისე დაგვტვირთა, კინაღამ სული ამოგვერთვა. მერე მივეჩვიეთ. პირველ საკონტროლო მატჩში მოსკოვის არმიელებს შევხვდით და 1:2 წავაგეთ, გოლი მე გავიტანე, ზაზა ავად იყო, გრიშიკაშვილი კი მეორე ტაიმში გამოიყვანეს. ამის შემდეგ გერმანიას გავემგზავრეთ, იქ ოთხი მატჩი ვითამაშეთ, მე და ზაზამ თითო-თითო გოლი გავიტანეთ. შემდეგ იყო ტურნეები ესპანეთსა და იტალიაში, აქაც რამდენიმე მატჩი და კვლავ ერთი გოლი ჩემს ანგარიშზე. ახლა „სპარტაკი" კისლოვოდსკშია, 17 მარტამდე იქ იქნება. მე 7 მარტს მივემგზავრები, 18-ში კი კვლავ თბილისში ჩამოვალ ნაკრების შეკრებაზე.

**— რა გენიშნა, რას გამოარჩევდი ახალი მწვრთნელის საქმიანობაში?**

— დისციპლინას. გაზაევისნაირი პიროვნება იშვიათად მინახავს — როგორც თავად იქცევა, შენგანაც იმას მოითხოვს.

**— მაშ, სამივე ძირითადში ხართ?**

— მე და ზაზა კი, გრიშიკაშვილს კი ხაპოვის სახით სერიოზული კონკურენტი ჰყავს, თუმცა უნდა ვთქვა, რომ ორივე ღირსია ძირითადი შემადგენლობისა.

**— ახალ გუნდში ამპლუა ხომ არ შეგიცვალეს?**

— გაზაევი სამი მცველით თამაშობს. მე, ჩვეულებრივ, ცენტრალური მცველის ადგილზე მაყენებენ, კაცზეც ვთამაშობ და „ლიბეროს" ფუნქციებსაც ვასრულებ.

**— ომარ თეთრაძის გადასვლა მოსკოვის „სპარტაკში" თითქმის გადაწყვეტილი საქმე იყო. ვლადიკავკაზში როგორღა მოხვდა?**

— ომარი არ დააკმაყოფილა იმ პირობებმა, რომლებიც „სპარტაკში" შესთავაზეს, ამიტომაც ჩამოვიდა ოსეთში. გაზაევი მას დიდი ხანია ეპატიჟებოდა.

**— რუსეთის ჩემპიონატი როდის იწყება?**

— 1 აპრილს კამიშინის „ტექსტილშჩიკს" ვიღებთ. თუ თასის მეოთხედფინალში არზამასის „ტორპედოს" მოვუგეთ, სექტემბერში ევროთასებზე გასვლა პრაქტიკულად გარანტირებული გვექნება, რადგან ნახევარფინალში გასული დანარჩენი სამი გუნდიდან ყველას ევროთასებზე აქვს ადგილი დაბევებული.

**— კლუბის ხელმძღვანელობა მიზნად რას გისახავთ?**

— ოთხეულში უნდა მოვხვდეთ, ევროთასებზე გაისადაც რომ ვიასპარეზოთ.

**— რამდენი ხნით რჩები ვლადიკავკაზში?**

— კონტრაქტი ერთწლიანია, მაგრამ ხომ გახსოვს, წინა ინტერვიუში რა გითხარი — ექვს თვეში ალბათ ევროპაში მიხილავთ...

მამუკა კვანტალიანი

გია ახალაძის ფოტო

# «კოლხეთი» აცხადებს მიღებას

**ფოთის „კოლხეთი 1913" ერთადერთი გუნდია, ჩემპიონატებში სამჯერ რომ დაამარცხა თბილისის „დინამო", აქედან ორჯერ — თბილისში. კოლხელები ყველა ჩემპიონატში სტაბილურად, ჩავარდნის გარეშე გამოდიან. გუნდის შექმნაში დიდია ჯონი ჯანელიძის წვლილი, დღევანდელი სახე კი გუნდს შკვიდრმა ფოთელმა, სოსო ფილიამ შესძინა. გადმოცემით ვიცოდი, რომ ფოთელებს ფინანსურად ძალიან გასჭირვებოდათ, ამიტომაც ძალიან გამიკვირდა, როცა „ტრაბზონის" ბაზაზე მისულმა ოთხი მინდვრიდან ერთ-ერთზე მოვარჯიშე „კოლხეთი 1913" აღმოვაჩინე.**



**— ბატონი სოსო, ეტყობა, მოგიგვარებიათ ფინანსური პრობლემები...**

— ჩვენს ყოფილ პრეზიდენტს და სპონსორს დავით კუპრეიშვილს დროებით თავად შეექმნა სიძნელეები, კლუბი დაშლის პირასაც კი მივიდა. ამ კრიტიკულ მომენტში დახმარების ხელი გამოგვიწოდა ფოთის პორტის ხელმძღვანელმა ვალერი გეგიძემ. იგი ადრეც გვმფარველობდა, ახლაც სულზე მოგვისწრო და გუნდი დაშლას გადაარჩინა. ამჟამად ყველაფერი რიგზეა.

**— ვარჯიშს როდის შეუდექით?**

— ჩემპიონატის წინ ძმა დამეღუპა და მოსამზადებელი პერიოდის დიდი ნაწილი გუნდთან ვერ ვიყავი. მეორე წრის წინაც უბედურება შემემთხვა — დედა გარდამეცვალა და კარგა ხნით კვლავ ჩამოვშორდი ბიჭებს.

გუნდმა 6 თებერვალს დაიწყო ვარჯიში, მე კი გვიან შევუერთდი. უჩემოდ ითამაშეს საკონტროლო თამაშებიც: ზუგდიდში „დინამოსთან" 2:2 უთამაშიათ, შინ კი 0:1 წაუგიათ. ახლა 8 მარტს ვაპირებთ „ტრაბზონთან" თამაშს და მატჩის შემდეგ ჩვენი შეკრებაც დასრულდება. 9 მარტს უკვე შინ ვიქნებით.

**— ორმხრივ თამაშში თქვენი საუკეთესო ფორვარდი, დათო მახარაძე არ მონაწილეობდა. რაშია საქმე?**

— ჩვენი გუნდი მუდამ განიცდიდა ფორვარდების ნაკლებობას. ახლაც ასეა. დათოს ტერფის ძვალი გაებზარა და პირველად მატჩებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ამას დაერთო ივანე ჯუღელის შეპეტოვკის „ტემპში" გადასვლა, ასე რომ, უთავდამსხმელოდ დავრჩით.

**— ფედერაციამ ყველა კლუბს ორი ფეხბურთელის შემატების ნება დართო. არ აპირებთ დანაკლისის შევსებას?**

— ჩვენთვის საჭირო მოთამაშე ჯერჯერობით ვერ ვნახეთ. თუ სადმე ფორვარდი განთავისუფლდა, გავსინჯავთ.

**— წალენჯიხის „სქური" თქვენი ფარმ-კლუბი იყო. იქიდან ხომ არ გადმოგიყვანიათ ვინმე?**

— ფინანსურმა გაჭირვებამ ჩვენს და წალენჯიხელთა ურთიერთობასაც დააჩნია კვალი, ჯეროვანი ყურადღება ველარ მივაქციეთ მათ. „სქურიდან" დავიბრუნეთ ჩვენი აღზრდილები ხოფერია, ჯღარკავა, ცირამუა.

**— უნიკალური მდგომარეობაა. გუნდი მესამე ადგილზეა, ლიდერს ოთხი ქულით ჩამორჩება, მეორე წრეს კი უთავდამსხმელოდ იწყებს. რას აპირებთ?**

— იქნებ გაგიკვირდეთ და, წინ ნუგზარ მიქაბერიძე წავწიე. ჭაბუკობისას თავდასხმაში თამაშობდა, ახლა ახალგაზრდობის გახსენება მოუწევს. მას შეიძლება ახალბედა გივი კვარაცხელიაც დავახმარო.

**— მამუკა მაჭავარიანის „დინამოში" გადასვლაზე რაიმე პრეტენზია ხომ არ გქონიათ?**

— არავითარი, მას დიდი მადლობაც მინდა გადავუხადო იმ თამაშებისთვის, ჩვენს გუნდში რომ ჩაატარა. ბიჭი „დინამოში" მიდის და ხელს ხომ არ შევუშლი. კვლავაც წარმატებას ვუსურვებ.

**— თქვენი გუნდი უეფას ან ინტერტოტოს თასზე გასვლის რეალური კანდიდატია ეს, ბუნებრივია, კორექტივებსაც შეიტანდა თქვენს მზადებაში.**

— რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ის გახლავთ, რომ მესამე ადგილზე მყარად ვართ და როგორც იქნა, რეალურად დავინახეთ ჩვენი შრომის ნაყოფი. თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ უფრო მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ.

**— ევროპელების ამბავი ხომ იცით, კარგი სტადიონი, კარგი სასტუმრო...**

— ისეთი სასტუმრო გვაქვს მათთვის შეგულებული, ნამდვილად არ დაიწუნება. სტადიონზე რეკონსტრუქცია დაიწყო, ჩვენი პრეზიდენტის ხელშეწყობით მალე 20 ათასიანი კოხტა, ევროპული სტანდარტების შესაფერისი სტადიონი გვექნება. ასე რომ, ევროპელებს მზად შევხვდებით.

მამუკა კვარაცხელია



# ასეთია თურქი კაცის ბედი

**რასაც ახლა მოგიყვებით, ჩემი კოლეგები „ათას ერთი ღამის" ზღაპრად ჩათვლიან. არადა, ყველაფერი სრული სიმართლეა და ჩვენს მეზობელ თურქეთში ხდება..**

შარშან, მაისში, შოთა არველაძე საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად რომ ვცანით, რედაქციამ მასთან ინტერვიუ დამავალა და მეც არველაძეებისას მივედი. შოთას მეუღლეს ბაბუა გარდაცვლოდა და სიძე როგორც წესია, ნათესავებში ტრიალებდა. არჩილმა, მალე მოვა დაელოდეო. ანაზდად ტელეფონმა დარეკა, არჩილი კი თურქულად „აჟღურტულდა": თურქი ჟურნალისტები ჩამოსულან, აეროპორტიდან დარეკეს, სადაცაა, აქ გაჩნდებიანო, მითხრა. ცოტაც და, თავს სამი თურქი ჟურნალისტი დაგვადგა. მე მყის სავიზიტო ბარათები მაჩუქეს, „ჰურიეთიდან" ვართ, ვინმე წვრილფეხობა არ გეგონოთო. რამ ჩამოგიყვანათ-მეთქი. სამეულში რომ უფროსობდა, იმან მითხრა, რედაქტორმა დამავალა, წადი, აჩი-შოთა ნახე, ორიოდ კვირაა, გურჯისტანში გაემგზავრნენ და ამბავი ჩამოიტანეო. რითი ჩამოხვედით? მხრები აიჩეჩეს, რა თქმა უნდა, რედაქტორმა თვითმფრინავი გვიქირავაო.

— გაზეთში როდის დაიბეჭდება თქვენი წერილი? — როგორ თუ როდის, ხვალ დილასვეო. მეტი აღარაფერი მიკითხავს, ემანდ, ამათი გასაკვირი კიდევ რამე არ წამოვროშო-მეთქი. ამასობაში შოთაც მოვიდა და ატყდა ხვევნა-კოცნა, ფოტოაპარატების ჩხაკუნი და თურქული ღუღუნი. სამეულმა თხუთმეტ წუთში საქმე მოათავა და აეროპორტისკენ გაეშურა. მე კი დავრჩი პირლია და ცოტა დააკლდა, დამავიწყდა, რისთვის გამომგზავნა რედაქციამ არველაძეებთან...

ამასწინათ ტრაპიზონში აჩი-შოთასთან სტუმრობისას მეზობელი ვილის ეზოში ბურთი გადამივარდა. გავიხედე და ვილის პატრონში ის თურქი ჟურნალისტი შევიცანი, იმ სამეულში რომ უფროსობდა. რაღა გამაჩერებდა, იმ საღამოსვე ვეწვიე კოლეგას.

— ორჰან-ეფენდი, ინტერვიუსთვის გეწვიეთ...

— ჯერ მითხარით, რას დალევთ, ჩაის, ყავას თუ ლუდს და ინტერვიუ მერე იყოს.

სანამ კოლეგის მეუღლე საქმიანობდა, მისი ოთახი შევათვალიერე: ფაქსი, პერსონალური კომპიუტერი, სხვა უამრავი საჭირო მოწყობილობა. ორიოდ წუთში გერმანული ლუდი წრუპვით განვაგრძეთ საუბარი.

— ჯერ თქვენზე მიამბეთ...

— ორჰან ქაინარი ვარ, ორმოცდარვა წლის, 25 წელია ვჟურნალისტობ, ბოლო 18 წელი — „ჰურიეთში" ვარ. მყავს მეუღლე და ორი შვილი, ძირითადად სპორტზე ვწერ, ხანდახან კულტურასა და შავი ზღვის პრობლემებსაც მიმოვიხილავ. „ჰურიეთი" ანკარაში გამოდის, მე კი ტრაპზონი ძალიან მიყვარს და კარგა ხანია აქ ვსაქმიანობ, ასე ვთქვათ, მოვლინებული ვარ. მასალებს ვაწვდი ანკარაში, გერმანიაში, ესპანეთში, ინგლისში...

— რა გაზეთია „ჰურიეთი"?

— თურქეთში ყველაზე პოპულარული გაზეთია. 700 ათასი ტირაჟით თურქეთში გამოდის, 200 ათასიც დასავლეთ ევროპაში ვრცელდება. 1200 შტატიანი თანამშრომელი გვყავს. ყოველდღე 22 გვერდზე ვიბეჭდებით, კვირაში ერთხელ კი 32-გვერდიან სპეცგამოშვებას ვუშვებთ. „ჰურიეთი" დამოუკიდებლობას ნიშნავს.

— ჯამაგირი რამდენი გაქვთ, თუ საიდუმლო არაა?

— საიდუმლოა, მაგრამ მაინც გეტყვით. 1800 დოლარის ფარდი თანხა თურქულ ლირებში, ეს — ხელფასი, ჰონორარი — ცალკეა. ეს ძალზე მაღალ შემოსავლად ითვლება თურქეთში. ჟურნალისტის მინიმალური ხელფასი 300 დოლარია.

— ეს სამსართულიანი ვილა ზღისპირას, შინდისფერი რენო, კარის წინ რომ გიყენიათ, მძღოლი, მთელი დღე მანქანას რომ აკრიალებს და მოსამსახურე თქვენს კისერზეა?

— რას ამბობთ, ყველაფრის ფულს რედაქცია იხდის

— ?!?!?!

— მე მხოლოდ ბენზინის და კვების ფულს ვიხდი.

— მეუღლე მუშაობს?

— მუშაობს, ოღონდ თავის ჭიას თუ ახარებს. ჩემი შემოსავალი მთელს ოჯახს კისრამდე ყოფნის.

— აიპსის „მამას", თქვენებურ ბაიათლის თუ იცნობთ?

— თოგაის? ჩემი ძმაკაცია, ოცი წელია აიპს-ის წევრი ვარ და დაახლოებით ამდენივე წელია, მასთან რომ ვმეგობრობ.

— მაშინ თბილისში რომ პირველად შევხვდით, ჩაასწარით გაზეთს?

— რა თქმა უნდა, მეორე დილით, როგორც გითხარით სტატია გაზეთში იყო.

— აჩი-შოთაზე რას გვეტყვით?

— ნაღდი პროფესიონალები არიან, ჩვენი ფანები მათზე გიჟდებიან. აჩი ცოტა უიღბლოა, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც დროებითია. ადრე თუ გვიან, გაუმართლებს. მე ტყუპები საუკეთესო უცხოელებად მიმაჩნია თურქეთში (შოთა აკი აღიარეს კიდეც. მ.კ.). ერთად ცოტა თამაშებმა მოუწიათ და ეს გუნდს ძალიანაც დაეტყო. ის კი არა, გუნდის ხელმძღვანელობას მეტი ჭკუა რომ ჰქონდეს, ჯემალ ჩიმაკაძის ცოდნას უფრო უკეთ გამოიყენებდა. ერთი თხოვნა მაქვს: თუ ამ ინტერვიუს გამოაქვეყნებთ, სთხოვეთ თქვენს თანამემამულეებს, აქ რომ ჩამოდიან, ტყუპებს ასე ნუ შეაწუხებენ.

— საქართველოზე ამათ გარდა რამე თუ იცით?

— ბევრი რამ ვიცი, ეკონომიკა თქვენ არ გივარგათ და გზები. არადა ჭკუა რომ იხმაროთ, ფეხბურთიც და ტურიზმიც გაცხოვრებთ. საქართველო ჩემთვის ისეთივე საფეხბურთო ქვეყანაა ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე, როგორც ბრაზილია მსოფლიოში. არ მესმის, რატომ უნდა იყოს თქვენში გაჭირვება.

კიდე კარგა ხანს ვისაუბრეთ. როდესაც სიტყვა ჩემს ხელფასზე ჩამოვარდა, დოლარებზე გადაანგარიშებით ვუთხარი. კარგა ხანს უხმოდ, გაკვირვებულმა მიყურა, მისი თვალები კი საყვედურით მეკითხებოდნენ, მამისტოლა კაცს ამხელა ტყუილს როგორ მკადრებო...

მამუკა კვარაცხელია

ეროვნული ბიბლიოთეკა



საკმარისი იყო, ტრაპიზონის გარეუბანში დღესაც სალსალამათი სპორტის მინისტრის მეჰმეთ ალი იალმაზის სახელობის საფეხბურთო ბაზის კარის წინ ორი მაგიური სიტყვა — „აჩი-შოთა" წარმომეთქვა, რომ ბაზის კარი ალი-ბაბას მღვიმესავით უმალ გაღებულიყო და თქვენი მონა-მორჩილი თავაზიანად შეეპატიჟებინათ შიგნით. კლუბის ახალარჩეული პრეზიდენტი ფარუქ ოზაქი (მარცხენა ფოტოზე) შარბათივით დატკბა, რაკილა გაიგო, რომ მასთან საუბარი თვით ტყუპების თანამემამულეს სურდა და ჩინებული ინგლისურითაც გამომელაპარაკა.

# ორი ჯადო სიტყვა ვიცი



— ფარუქ-ბეი, თქვენი თავი გაგვაცანით...

— ორმოცდაცხრა წლისა ვარ, 1967-76 წლებში „ტრაბზონის" ნახევარმცველი და კაპიტანი ვიყავი, 1974 წელს სწორედ ჩემი კაპიტნობით გადმოვიდა კლუბი უმაღლეს დივიზიონში და ალმასვლასაც შეუდგა, 76-ში ჩემპიონებიც გავხდით. ფეხბურთის შემდგომ ბიზნესს მივყავი ხელი, თუმცა „ტრაბზონი" არ დამვიწყებია და მუდამ კლუბის ოცკაციან დირექტორატში ვირიცხებოდი (როგორც ტყუპებმა მითხრეს, კლუბის დირექტორატში მოხვედრის მსურველმა კლუბის ხაზინაში 150 ათასი დოლარი უნდა შეიტანოს. ამის შემდგომ იგი ფრიად დაფასებული კაცი ხდება ქალაქში და კარიერის გაკეთების ჩინებული შანსიც ეძლევა).

— ჩანს, „ტრაბზონი" თქვენთვის მარტო სამსახური არ ყოფილა...

— რა თქმა უნდა, მე მორწმუნე კაცი ვარ (იმ დღეებში რამაზანი ანუ მუსლიმთა მარხვა იყო და მორწმუნეებს დღის შუქზე ჭამა ეკრძალებოდათ, ფარუქ-ბეიმაც ვახშმის მერელა მიმიღო) და მწამს, რომ კლუბის მიტოვება ერთი წუთითაც კი არ შემიძლია. „ტრაბზონი" ჩემი სიცოცხლეა. ინჟინერი კაცი ვარ, ქალაქში მრავალი შენობა ჩემი აგებულია, მაგრამ ჩემი გული „ტრაბზონს" ეკუთვნის.

— თქვენი, როგორც პრეზიდენტის მიზანი?

— ამ ბოლო დროს თურქეთის ჩემპიონატში წარმატებებს გავუშინაურდით, თუმცა ჯერჯერობით ჩემპიონობა ვერ მოვიპოვეთ. ჩემი მიზანია, „გალათასარაისთან", „ბეშიქთაშთან" და „ფენერბახჩესთან" ჭიდილში ოქროს მედლები მოვიპოვოთ, შემდეგ კი ჩემპიონთა ლიგაშიც წარმატებით ვითამაშოთ.

— ალბათ დროა, აჩი-შოთაც ვახსენოთ...

— ისინი „ტრაბზონის" წამყვანი მოთამაშეები არიან. არჩილი ტრავმებმა დატანჯა, თორემ კლუბს უფრო უკეთესი შედეგი ექნებოდა. ტყუპები ორჯერვე შუა სეზონიდან შემოგვემატნენ და კლუბის საქმეც წალმა წავიდა. თუ ამ სეზონში ვერა, მომავალში სწორედ ტყუპების დახმარებით მოვიპოვებთ ჩემპიონობას.

— თქვენი კარიერის მანძილზე სხვა ქართველ ფეხბურთელებს თუ შეხვედრიხართ?

— მე და „ტრაბზონის" ახლანდელი მწვრთნელი შენოლ გიუნეში ახალგაზრდობაში თურქეთის ჭაბუკთა ნაკრებში ვთამაშობდით, მახსოვს ბრწყინვალე ქართველი ფეხბურთელის კახი ასათიანის თამაში.

— თქვენ მეორე დივიზიონში „ფარმ-კლუბიც" გყავთ, იქიდან თუ იღებთ შევსებას?

— „ტრაბზონთან" 250 ჭაბუკი ვარჯიშობს და ჩვენი „ფარმ-კლუბიც" მათთვისაა შექმნილი. თავს გამოიჩენენ თუ არა, მყისვე მთავარ გუნდში გადმოვიყვანთ.

***

ორმა ჯადო სიტყვამ გუნდის მწვრთნელ შენოლ გიუნეშზეც გაჭრა. ჩემდა გასაკვირად, მან ვარჯიშის დაწყებაც კი გადადო, რათა ჩემს კითხვებზე ეპასუხა:

— ქართველ გულშემატკივრებს აინტერესებთ, რატომ გამოდის არჩილი ძმაზე უფრო იშვიათად ძირითად შემადგენლობაში?

— როდესაც ტყუპები დაგვიბრუნდნენ, არჩილს ნაკლები წონა ჰქონდა. ამიტომაც დავასვენე. საგანგებო ვარჯიშების შემდეგ, ორ-სამ კვირაში არჩილი მოლონიერდა და მყისვე ძირითადში დავაყენე. მე ოთხი ფორვარდი მყავს — შოთა, არჩილი, ჰამი და ორჰანი, ამიტომ სამი თავდამსხმელი გამომყავს. ის-ის იყო არჩილი ფორმაში შევიდა, რომ ფეხის თითი დაიშავა და კვლავ რამდენიმე დღით გამოგვაკლდა. ახლა ვარჯიშებს შეუდგა და, იმედი მაქვს, უახლოეს ტურამდე ფორმასაც აღიდგენს. მოკლედ, რომ არა უიღბლობა, არჩილიც იტყოდა თავის სიტყვას. მე იგი კლუბის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ მიმაჩნია.

— კაჭარავა და ბერაძე რატომ ვერ შეეწყვნენ „ტრაბზონს"?

— კაჭო და ბონა კარგი ფეხბურთელები არიან, კიდევ უფრო უკეთესი — ადამიანები. ბონამ თავიდან კარგად ითამაშა, მერე კი მოუკლო, ამიტომაც სკამზე დავსვი. კაჭო კი ძალიან გამოგვადგა. მათი წასვლა, ფაქტიურად, ტყუპების მოსვლასთან იყო დაკავშირებული, რადგან „ტრაბზონში" ხუთი უცხოელი იყრიდა თავს. უტყუპებოდ „ტრაბზონი" წარმოუდგენელია, ამიტომ ისევ კაჭოს და ბონას შეველიეთ.

— „ბეშიქთაშთან" 0:4 მარცხი რამ გამოიწვია?

— წინა ორ ტურში ნულოვანი ფრეები ვითამაშეთ, ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად მოშვებული იყვნენ. მერე უცებ გაშვებულმა გოლმაც საბედისწეროდ იმოქმედა. მოკლედ ფსიქოლოგიურად წავაგეთ.

— წელს რას უმიზნებთ?

— სანამ „ტრაბზონის" სათავეში ვარ, კლუბის მიზანი მუდამ ჩემპიონობისთვის, თასისთვის და ევროპაში გასვლისთვის ბრძოლა იქნება. ერთ მიზანთან ახლოს — თასის ფინალში პრაქტიკულად გასულები ვართ. ჩემპიონატშიც თერთმეტი ტურია დარჩენილი. ვნახოთ, ორივეში პირველობისთვის ვიბრძოლებთ.

***

ტყუპების მონაგარი ამ სეზონში ასეთია: შოთამ — ჩემპიონატის 10 მატჩში 7 გოლი გაიტანა, თასზე 4 მატჩში — 5. არჩილის შედეგი ზემოხსენებულ მიზეზთა გამო შედარებით მოკრძალებულია, შესაბამისად, 6(3გოლი) და 3 (2 გოლი). ტყუპების ქებადიდებას, როგორც ხედავთ, ბოლო არ უჩანს. მაინც, არის ერთი კაცი, რომელიც სისხლხორციელადაა დაინტერესებული ტყუპების წარმატებით, მაგრამ მათი თამაშის ყველაზე კრიტიკული შემფასებელიც გახლავთ — ჯემალ ჩიმაკაძე — ტყუპების ბავშვობისა და „ტრაბზონის" ერთ-ერთი მწვრთნელი:

— ტყუპებს ყველაფერი აქვთ, დიდი ფეხბურთი რომ ითამაშონ, მაგრამ მაინც მინდა გამოვყო რამდენიმე მომენტი, რომლებზეც მათ დიდი მუშაობა მართებთ, რადგან თანამედროვე ფეხბურთში ამ თვისებათა გაუმჯობესების გარეშე დიდ ფეხბურთელობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. დავიწყოთ არჩილით, რომელსაც მივუთითებდი, რომ ბევრი უნდა იმუშაოს სწრაფი, საგოლე გახსნის დაბალი კოეფიციენტის ასამაღლებლად; დარდიმანდული ხასიათისა და ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო საგოლე პასის ხარისხიც გასაუმჯობესებელი აქვს, ისევე, როგორც ძალისმიერი თამაში. შოთას კი, ჩემი აზრით, მართებს კონტაქტურ, უშუალო ორთაბრძოლაში საჭირო ძალა მომატება, ერთგვარად ერთფეროვანი დრიბლინგის გამრავალფეროვნება, ჭარბი ემოციურობის დაძლევა, რაც ზედმეტ ლაპარაკშიც გამოიხატება და ენერგიის უმიზნოდ ხარჯვაც მოსდევს.

ტყუპების შეფასებისას ჩემს თავს ამდენის უფლებას იმიტომ ვაძლევ, რომ ბიჭებს ცხრა-ათი წლიდან ვიცნობ და ჩემს თვალწინ, ჩემი უშუალო მეთვალყურეობით გაიზარდნენ. მათი ფსიქოლოგიაც შესწავლილი მაქვს და ინტუიციით ზუსტად განვსაზღვრავ, როდის რა სჭირდებათ. მათ, ფაქტიურად, მთელი საფეხბურთო მომავალი წინა აქვთ...

...ჯემალ ჩიმაკაძის რჩევებს რომ დაჯერება და გათვალისწინება ეგების, იქიდანაც ჩანს, რომ „ჯემალ-ბეი" კლუბში ძალიან მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს და ხშირად გუნდის ხელმძღვანელობა მას კონსულტაციებისთვისაც მიმართავს.

***

23-ე ტურის მატჩმა, რომელშიც „ტრაბზონი" მაჩანჩალა „გაზიანთებს" მასპინძლობდა, ტყუპების გარეშე ჩაიარა: არჩილს ტრავმა არ მოუშუშდა ბოლომდე, შოთა კი კლუბის ხელმძღვანელობამ დაასვენა: ამ მატჩს უშენოდაც მოვიგებთ, შენ ძალები მოიკრიბე, მომდევნო ტურში „ფენერბახჩესთან" უპრინციპულესი მატჩი გვაქვს სტამბოლში და იმისთვის მოემზადე, ემანდ, „გაზიანთებთან" ტრავმა არ მიიღოო. ტყუპებმაც თამაშს ლოჟიდან უყურეს. მატჩი მეც მოსაწყენი მეჩვენა და ჩემს თურქ კოლეგებსაც, გულშემატკივრები კი საათნახევარი არ გაჩერებულან და ნაირნაირ სიმღერებს აგუგუნებდნენ, რომლებშიც, როგორც თურქმა კოლეგებმა ამიხსნეს, „ფენერს", „ბეშიქთაშს" და ლომთალომ „გალათასარაის" იმდენად შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდნენ, ძვირფას მკითხველს ნამდვილად ვერ ვაკადრებ.

მატჩი „ტრაბზონმა" იოლად, 3:0 მოიგო, წარმოშობით ლაზი მცველის თოლუნაის თაურს აქტიურად მოთამაშე ჰამიმ ორი ლამაზი გოლი მიუმატა. თამაშის შემდეგ ერთი თურქი გულშემატკივარი გამომეცნაურა, ტრაბზონის მუნიციპალური სატელეფონო სადგურის უფროსი ალათინ ბეი ვარო და ასეთი რამ მითხრა:

— „ტრაბზონის მოგება როგორ არ გამიხარდა, მაგრამ ამ ტყუპებმა ისე შემაყვარეს თავი, თუ თამაშს მათი გოლების გარეშე ვიგებთ, ჩემთვის ეშხი აღარა აქვს. მე მაგათი გოლები მიხარია, დაე, ჩემმა თანამემამულეებმა მათ მერე გაიტანონ გოლები. ვაჭრუკანა, მეძავი და აფერისტი ქართველების შემყურემ პირველად ვნახე წესიერი, მშრომელი და ნიჭიერი ქართველები. ამათ ისე შემაცვლევინეს წარმოდგენა ქართველებზე, თბილისშიც ჩამოვედი, „დინამო" — „უნივერსიტეტიას" მატჩზე. ის კი არა, ახლა ჩემს გენეალოგიაში ვიქექები, ეგება ვინმე ქართველს წავაწყდე...

გაზეთ „მილიეთის" კორესპონდენტმა ალთუ ათალაიმ კი შოთა რომარიოს შეადარა — მისებრ ტექნიკური და ბომბარდირიაო, მცირე შანსსაც კი გოლად აქცევსო. ეგაა, ტყუპებს მჭიდრო, ხისტი თამაში არ უყვართ და, თუ ამასაც მიეჩვევიან, მათი გამჩერებელი კაცი არ იქნება...

***

ვიქტორ გრიშკო თურქეთში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ ითვლება. მესამე სეზონია, წარმატებით იცავს „ტრაბზონის" კარს და რომ არა „ბეშიქთაშთან" გაშვებული ოთხი გოლი, ამ მაჩვენებლით საუკეთესო იქნებოდა კოლეგებს შორის.

— ვიქტორ, შარშან მითხარით, „ტრაბზონში" ბოლო სეზონს ვატარებო...

— ახლა ნამდვილად ბოლო სეზონია. შვილები წამომეზარდნენ უკვე, ტრაბზონში კი რუსული სკოლა არ არის. ბავშვებს გაუნათლებელს ხომ არ დავტოვებ. თანაც ოდესა ძალიან მენატრება.

— ამასწინათ, „სპორტ-ექსპრესში" თქვენი ინტერვიუ დაიბეჭდა. იქ ასეთი ფრაზა ამოვიკითხე: გუნდში ორი ქართველი თამაშობს, მაგრამ არცერთის გვარი არ მახსოვს. ეს ისეთ კონტექსტში იყო ნათქვამი, თითქოს ვიღაც დუბლიორზე იყო ლაპარაკი.

— წავიკითხე ეს ინტერვიუ. სხვათაშორის, ჟურნალისტებს ისიც ავუხსენი, რომ თურქეთში წესია ასეთი, ყველას სახელით მოიხსენიებენ და ტყუპების კი არა, ლამის ჩემი გვარიც დამავიწყდა-მეთქი. მათ კი ისე დაწერეს, რომ შეურაცხყოფა გამოვიდა. ისე, მართლა აღარ მახსოვდა მათი გვარი, სულ აჩი-შოთას ვეძახდით. ამ ბიჭებს წარმატებები წინა აქვთ, მალე ევროპის წამყვან კლუბებში ითამაშებენ.

— „გაზიანთებთან" ყვითელი ბარათი მეტოქესთან ბღლარძუნისთვის მიიღეთ. თქვენისთანა კლასისა და გამოცდილების მეკარეს განა ეკადრება?

— ის თავდამსხმელი პირველად არ აკეთებდა ამას: ხედავს, ბურთს ვეუფლები, ის კი უხეშად მაწყდება. ფეხიც მატკინა. ბოლოსდაბოლოს, ვეღარ მოვითმინე და მუჯლუგუნი ვუთავაზე. ისე, მართალი ხართ, წითელი ბარათიც მეკუთვნოდა.

***

არველაძეებთან სტუმრობისას რეზომ დარეკა გერმანიიდან. მყის კალამი მოვიმარჯვე და უფროს ძმას სატელეფონო ინტერვიუც ავართვი.

— რამდენი მატჩი ითამაშე?

— ორი. პირველი 5:1 მოვიგეთ, მეორე ფრედ 1:1 დავასრულეთ. ნახევარდაცვაში ვთამაშობ, ხან შუაში, ხანაც ფლანგებზე. კაჭარავას და ინალიშვილს ტრავმები ჰქონდათ, მესამე ტურში შემოგვემატებიან.

— „ტენის-ბორუსია" რომელ ადგილზეა?

— ახლა მეშვიდეზე ვართ, ლიდერს შვიდი ქულით ჩამოვრჩებით. სამქულიანი სისტემით ეს არაა დიდი სხვაობა. მთელი წრე წინაა და კლუბის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ მეორე ბუნდესლიგაში გადავალთ.

— გუნდში სხვა უცხოელი ვინა გყავთ?

— მოსკოვის „სპარტაკის" ყოფილი თავდამსხმელი რუსიაევი. ჩვენს ლიგაში უცხოელთა რაოდენობა შეუზღუდავია. გუნდის ხელმძღვანელობა კმაყოფილია ჩვენით, ჩვენც თავს არ ვზოგავთ, რათა მიზანს მივაღწიოთ. კონტრაქტი მაისში გვითავდება. რამდენიმე კლუბიდან უკვე მოწვევებიც მაქვს. ვნახოთ, შესაძლოა, ახალი სეზონი კვლავ ბუნდესლიგაში დავიწყო. ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

***

ტყუპებთან საუბარი ბოლოსთვის შემოვინახე. მათ კვლავაც ისე ენატრებათ თბილისი და აქაურობისა იმდენი რამ გამომკითხეს, ინტერვიუ ფაქტობრივად ჯერ მე მივეცი. ბოლოს ყველაფერი დალაგდა.

— არჩილ, ამდენმა ტრავმებმა გული ხომ არ გაგიტეხეს?

— ამისთანა უიღბლობის მერე ერთი პირობა ფსიქოლოგიურად ისე ვიყავი მოშლილი, ვიფიქრე თავს დავანებებ-მეთქი. მაგრამ ჩემმა ძმამ, ჯემალ ჩიმაკაძემ, მშობლებმა და ახლობლებმა, როგორც იქნა, ეს სტრესი გადამატანინეს. ტრავმაც მომიშუშდა და პირველივე ვარჯიშებზე მივხვდი, რომ უფეხბურთოდ ვერ გავძლებდი. მალე ფორმას აღვიდგენ და იმედი მაქვს, კვლავ ავალაპარაკებ ჟურნალისტებს და სპეციალისტებს. საქართველოს კი, თუ დავჭირდები, რომელი ნაკრებიც უნდა იყოს, მუდამ მზად ვარ თბილისში ჩამოსასვლელად.

— შოთა, ბოლო მატჩებში გოლი არ გაგიტანია, რას მივაწეროთ?

— გუნდში ყველას გოლის გატანა უნდა, ჩემთვის კი მთავარია, გუნდმა მოიგოს, მე გავიტან თუ სხვა ჩემი პასით; ჩემთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ვიმეორებ, მთავარია, გუნდმა გაიმარჯვოს. ერთ-ერთ თამაშში სამი საგოლე პასი მივეცი, ჟურნალისტები კი მეკითხებოდნენ, გოლი რატომ ვერ გაიტანეო. ის პასები ვერავინ დაინახა. საერთოდ, აქაურ ჟურნალისტთა უმრავლესობა იაფი სენსაციების მოყვარულია, თითო-ოროლა თუ აშუქებს პროფესიულად მატჩებს.

გოლებს კი კიდევ უამრავს გავიტან. ჩემი ფიქრები ახლა გერმანიასთან მატჩს დასტრიალებს. წარმომიდგენია 29 მარტს გადაჭედილი, აგუგუნებული „დინამოს" სტადიონი. მარტო ამ თამაშისთვის ღირს ცხოვრება...

**მამუკა კვარაცხელია**

ტრაპიზონი — თბილისი

**P.S.** 4 მარტს „ტრაბზონმა" სტამბოლში ქულა წაართვა მდევარ „ფენერბაჩეს" 1:1 და ახლა 48 ქულით მესამე ადგილი უკავია.

აქვე დახმარებისთვის მადლობა მინდა გადავუხადო რომან შოთაძეს, ალექსანდრე გასოიანს, შოთა ბერუაშვილს და ტარიელ ღურდიაძეს.



# ქართული ლეგიონი მზადაა

საქართველოს ნაკრებთან ჩვენ უბრალოდ გაგვიმართლა, შვიდ წუთში ორი გოლი გავიტანეთ, თორემ კაცმა არ იცის, როგორ დამთავრდებოდა მატჩიო, უთქვამს გერმანიაში მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ბულგარეთის ნაკრების ვარსკვლავს იორდან ლეჩკოვს. თბილისში ორი დღით ჩამოსულმა „დინამოს" მენეჯერმა გერმანიაში, უჩა მალაზონიამ სხვა საინტერესო ამბებიც გვამცნო. კერძოდ, გერმანული პრესა-ტელევიზია თურმე 29 მარტის საქართველო-გერმანიის მატჩზე ყოველდღე გადასცემს ინფორმაციებს, ყველაზე მძიმე დღეში კი ჩვენი კაპიტანი კახი ცხადაძე ყოფილა, რომელსაც წარამარა კომენტარებს სთხოვენ. კარგ ფორმაში ყოფილა რეზო არველაძე: „ტენის-ბორუსიას" ბოლო თამაშში ორი საგოლე პასი შეუსრულებია. ურიგოდ არც გელა ინალიშვილს უთამაშია, რომელიც საქმეში მეორე ტაიმში ჩაურთავთ. სხვა გერმანელ-ქართველებზე ის შევიტყვეთ, რომ კაჭარავას თურმე მცირე ტრავმა აწუხებდა, ნიკა ჩხეიძე, როგორც ჩანს, ორანიენბურგის „აინტრახტში" მოეწყობა, მელორ ბიგვავა ნოიენკირხენში დიდად პოპულარული ყოფილა და თავის დივიზიონში თურმე საუკეთესოდ ითვლება. ოლიმპიური ნაკრების მეკარე დავით ჯანელიძე ბრაუნშვაიგის „აინტრახტში" იმკვიდრებს ადგილს, სადაც იაგორაშვილი, ლუდუშაური და გელაძეც გამოდიან. ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმერ პანოვმა კი გვაუწყა, რომ გერმანელების წინააღმდეგ მოსამზადებელი ოცდახუთი კანდიდატიდან თორმეტი ლეგიონერია. ნაკრების ხელმძღვანელებს მათთან სატელეფონო კავშირი ჰქონიათ. ყველა „უცხოელი" ჯანმრთელად და 29-ის მატჩისთვის ენთუზიაზმით აღსავსე ყოფილა და, როგორც ჩანს, შეკრებაზეც დროულად ჩამოვლენ. ოლიმპიურ ნაკრებთა შეხვედრას კი პოლონელები ზიგმუნდ ზიობერი, მარეკ ჩერიანი, სტანისლავ ჩუევსკი და მარიან დუშა (სათადარიგო) იმსაჯებენ.

ჩვენი კიდევ ერთი მეტოქე მოლდოვა სავარჯიშოდ გერმანიაში ყოფილა და იქ აკაკი დევაძის „როსტსელმაშთან" 0:2 წაუგია.



EURO 96 England

თბილისი. 29 მარტი. 21.00

საქართველო — გერმანია



# მესამოცე - საქართველო

გერმანიის ეროვნულ გუნდს დღემდე 59 ქვეყნის ნაკრებთან უთამაშია, ასე რომ, საქართველო გერმანელთა მე-60 მეტოქეა. 46 ქვეყანასთან მათ დადებითი ბალანსი აქვთ, 7-თან უარყოფითი, 6-თან — თანაბარი. საოცარია, რომ ბრაზილიის, არგენტინის, ინგლისის და იტალიის გარდა გერმანელებს უარყოფითი ბალანსი აქვთ ალჟირთანაც, ეგვიპტესთანაც და გდრ-სთანაც, ხოლო თანაბარი — საფრანგეთთან, უნგრეთთან და შვედეთთან ერთად — ბოჰემიასთან, კოლუმბიასთან და ტუნისთან. ყველაზე ხშირად — 45-ჯერ გერმანიის ნაკრები შვეიცარიელებს შეხვედრია. 31-31 მატჩი უთამაშია ავსტრიასთან, შვედეთთან და პოლანდიასთან, 30 — უნგრეთთან, 25 — ინგლისთან.

გერმანელთა 619 შეხვედრა გერმანიის 36 და უცხოეთის 104 ქალაქზე მოდის. შინ ყველაზე ხშირად უთამაშიათ ბერლინში — 36 მატჩი (15 მოგება, 11 ფრე, 10 წაგება, ბურთები 71-64), ჰამბურგში — 28 (16; 4; 8; 51-24), შტუტგარტში — 23 (15; 4; 4; 58-26), ჰანოვერში — 20 (14; 3; 3; 39-17). გერმანიის ნაკრებისთვის ყველაზე იღბლიანი ქალაქებია: კარლსრუე (შვიდივე მოგება), აუგსბურგი (ოთხივე მოგება), ზაარბრიუკენი (სამივე მოგება), დორტმუნდი (7 მოგება, 1 ფრე), გელზენკირხენი (6 მოგება, 1 ფრე), ყველაზე უიღბლოდ კი უასპარეზიათ — დუისბურგში (1 მოგება, 2 წაგება), დრეზდენში (2 მოგება, 3 ფრე, 2 წაგება), ბერლინში, მიუნხენში (8 მოგება, 3 ფრე, 4 წაგება) და ჰამბურგში.

უცხოეთის 104 ქალაქში შედის თბილისიც. 1979 წლის 21 ნოემბერს აქ ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის და გფრ-ის ნაკრები გუნდები. უეჭველია, ეს თამაშიც ბევრს ეხსომება, ანგარიშიც — 3:1 გერმანელთა სასარგებლოდ და ისიც, რომ საბჭოურ ნაკრებში ჩვენიანთაგან ითამაშეს გაბელიამ, დარასელიამ და გუცაევმა. გერმანელთაგან ბურთები გაიტანეს — რუმენიგემ — ორი და ფიშერმა, საბჭოელთაგან — მახოვიკოვმა. თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ერთმანეთს ამ ქვეყნების ახალგაზრდული ნაკრები გუნდებიც შეხვდნენ. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა 2:1. სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრებიდან ერთი ბურთი, პენალტით რევაზ ჩელებაძემ გაიტანა. მის გარდა კიდევ სამმა ქართველმა მიიღო ამ მატჩში მონაწილეობა — თამაზ კოსტავამ, ნუკრი კაკილაშვილმა და ილია რუხაძემ. გერმანელებს ახალგაზრდულ ნაკრებში ჰყავდათ შემდგომში ცნობილი ფეხბურთელები — მათეუსი, ლიტბარსკი, ფიოლერი, თომას ალოფსი, იმელი, ოტენი.

ყველაზე მეტი — 17 მატჩი უცხო ქალაქთაგან გერმანელებმა სტოკჰოლმში ითამაშეს და ყველაზე მეტი — 9 წაგებაც აქ იწვნიეს. 16 შეხვედრა გამართეს ვენაში, 14 — ბუდაპეშტში, 12 — ბაზელში. გერმანელებისთვის ყველაზე იღბლიანი ქალაქებია — ლუქსემბურგი (ექვსივე მოგება), ლეონი (ოთხივე მოგება), სტამბოლი (სამივე მოგება), ჰელსინკი (7 მოგება, 1 ფრე), ოსლო (5 მოგება, 3 ფრე), ტირანა (4 მოგება, 1 ფრე), ვარშავა (3 მოგება, 1 ფრე), ჩიკაგო (3 მოგება, 1 ფრე), ბრიუსელი (7 მოგება, 1 წაგება), ციურიხი (6 მოგება, 1 წაგება), ბერნი (5 მოგება, 1 წაგება), ყველაზე უიღბლო კი გეტებორგი (ხუთივე წაგება), პარიზი (1 მოგება, 2 ფრე, 5 წაგება), მეხიკო (1 მოგება, 3 ფრე, 4 წაგება), ბუდაპეშტი (2 მოგება, 6 ფრე, 6 წაგება), რიო დე ჟანეირო (2 ფრე, 2 წაგება), ლონდონი (3 მოგება, 5 წაგება), სტოკჰოლმი (5 მოგება, 3 ფრე, 9 წაგება).

გერმანელების წელიწადის თორმეტივე თვეში უთამაშიათ. თვეები პროცენტული შედეგიანობის მიხედვით ასე ლაგდება:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | % |
|---|---|---|---|---|---|---|
| ივლისი | 23 | 15 | 4 | 4 | 67-28 | 73,9 |
| სექტემბერი | 59 | 38 | 10 | 11 | 143-79 | 72,9 |
| ოქტომბერი | 69 | 43 | 11 | 15 | 189-97 | 70,3 |
| აპრილი | 64 | 35 | 18 | 11 | 145-76 | 68,8 |
| ნოემბერი | 60 | 32 | 15 | 13 | 128-68 | 65,8 |
| მაისი | 65 | 36 | 13 | 16 | 135-77 | 65,4 |
| მარტი | 53 | 30 | 9 | 14 | 107-73 | 65,1 |
| ივნისი | 127 | 68 | 28 | 31 | 255-170 | 64,6 |
| დეკემბერი | 43 | 23 | 9 | 11 | 89-48 | 64,0 |
| თებერვალი | 27 | 15 | 4 | 8 | 58-28 | 63,0 |
| აგვისტო | 17 | 9 | 2 | 6 | 48-20 | 58,8 |
| იანვარი | 12 | 5 | 1 | 6 | 23-22 | 45,8 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, მარტი „ნაყოფიერებით" მე-7 ადგილზეა. საერთოდ, გერმანელები წლის მეორე ნახევარში გაცილებით უკეთ თამაშობენ, ვიდრე პირველში (II ნახევარი — 271 მატჩი, 160 მოგება, 51 ფრე, 60 წაგება, ბურთების სხვაობა 664-340, შესაძლებელი მაქსიმუმის 68,4 პროცენტი, I ნახევარი — 348 მატჩი, 189 მოგება, 73 ფრე, 86 წაგება, ბურთები — 723-446; 64,8%). მარტში გამართული 26 გასვლით შეხვედრაში გერმანიის ნაკრებს გაუმარჯვნია 14 მატჩში, ფრედ დაამთავრა 2 და წააგო 10. ბურთების სხვაობა 54-46.

მაგრამ ამ 14 მოგებიდან 6 საკმაოდ სუსტ მეტოქეებთან მოიპოვეს: ლუქსემბურგთან — 3, ზაართან, ალბანეთთან და ისრაელთან — თითო. ზუსტად 29 მარტს გერმანელებმა ორი მატჩი (ორივე სტუმრად) გამართეს: ჰოლანდიასთან დამარცხდნენ — 1:2, უნგრელებს მოუგეს — 2:0.

1926 წლამდე გერმანიის ნაკრებს ოფიციალური მწვრთნელი არ ჰყოლია. მას შემდეგ გავიდა თითქმის 70 წელი და ამ ხნის მანძილზე ნაკრებს მხოლოდ ექვსი მწვრთნელი ჰყავდა. პირველმა მწვრთნელმა ოტო ნერცმა (დაიბადა 21.10.1892 წ. გარდაიცვალა 26.02.1949 წ) ნაკრებში იმუშავა 01.07.1926 — 07.08.1936 წლებში. ამ პერიოდში გერმანელებმა ჩაატარეს 70 მატჩი: 42 მოგება, 10 ფრე, 18 წაგება. ბურთების სხვაობა 192-113. შესაძლებლის 67,1 პროცენტი. მისი ხელმძღვანელობით 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიამ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ნერცი შეცვალა „ბებერ მელად" წოდებულმა იოზეფ (ზეპ) ჰერბერგერმა (28.03.1897 — 28.04.1977). ის ნაკრებში მოღვაწეობდა 13.09.1936 — 22.11.1942, 22.11.1950 — 07.06.1964 წლებში. გერმანელებმა ამ პერიოდში ჩაატარეს 167 მატჩი: 94 მოგება, 27 ფრე, ბურთები 435-250. შესაძლებლის 64,4 პროცენტი.

გერმანელთა მესამე და ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელი ჰელმუტ შიონია (15.09.1915). იგი ნაკრებს წვრთნიდა 04.11.1964 — 21.06.1978 წლებში. გერმანიის ნაკრებმა ამ პერიოდში ითამაშა 139 მატჩი: 87 მოგება, 31 ფრე, 21 წაგება, ბურთები 292-107. შესაძლებლის 73,7 პროცენტი. ნაკრებმა მისი ხელმძღვანელობით 1974 წელს მოიპოვა მსოფლიოს, ხოლო 1972 წელს ევროპის ჩემპიონობა, 1966 წელს მსოფლიოში, 1976 წელს ევროპაში იყო მეორე, ხოლო 1970 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე პრიზიორობა მოიპოვა.

შიონის შემდეგ ნაკრების ხელმძღვანელობას 6-6 წლით იბარებენ — დერვალი, ბეკენბაუერი, ფოგტსი. იოზეფ (იუპ) დერვალის (10.03.1927) მწვრთნელობის პერიოდში (11.10.1978 — 20.06.1984) გერმანელებმა 67 მატჩი ჩაატარეს: 44 მოგება, 12 ფრე, 11 წაგება, ბურთები 144-60. შესაძლებლის 74,6 პროცენტი (ყველაზე მაღალი შედეგი). მისი ხელმძღვანელობით ნაკრებმა 1980 წლის ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვიცე-ჩემპიონი გახდა.

12.09.1984 — 08.07.1990 წლებში ნაკრებს სათავეში ედგა მსოფლიო ფეხბურთის ყველა დროის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი ფრანც ბეკენბაუერი (11.09.1945). ამ პერიოდში გერმანელებმა ჩაატარეს 66 მატჩი: 34 მოგება, 20 ფრე, 12 წაგება, ბურთები 107-61. შესაძლებლის 66,7 პროცენტი. მან ნაკრები 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახადა, ხოლო 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ადგილი აღებინა.

1990 წლის 29 აგვისტოდან გერმანიის ნაკრებს ხელმძღვანელობს ჰანს-ჰუბერტ (ბერტი) ფოგტსი (30.12.1946). მას შემდეგ ნაკრებმა ჩაატარა 52 მატჩი: 32 მოგება, 12 ფრე, 8 წაგება, ბურთები 98-49. შესაძლებლის 73,1 პროცენტი. ამ პერიოდში გერმანელებმა 1992 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონის წოდება მოიპოვეს.

ოტო ნერცისა და ბერტი ფოგტსის გარდა, ყველა მწვრთნელმა შეძლო ერთ-ერთი უმაღლესი ტიტულის — მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონობის მოპოვება (შიონმა ორივე). ნერცის გარდა ყველა მწვრთნელი ადრე გერმანიის ნაკრების ღირსებას იცავდა — ბეკენბაუერი — 103 მატჩი, 14 გოლი, ფოგტსი — 96 მატჩი, 1 გოლი (ორივე მსოფლიო ჩემპიონიც გახდა), შიონი — 16 მატჩი, 17 გოლი, ჰერბერგერი — 3 მატჩი, 2 გოლი, დერვალი — 2 მატჩი.

გერმანელებს დიდი ანგარიშით მოგებული აქვთ 122 მატჩი, ხოლო დამარცხდნენ 26-ში. ყველაზე დიდი ანგარიშით დაამარცხეს რუსეთის ნაკრები — 16:0, 1912 1 ივლისს სტოკჰოლმში ოლიმპიურ თამაშებზე, ხოლო ყველაზე მწარე მარცხი 1909 წლის 16 მარტს იწვნიეს ოქსფორდში ინგლისელებთან 0:9. ყველაზე ხშირად დიდი ანგარიშით ამარცხებდნენ შვეიცარიელებს — 13-ჯერ, ფინელებს — 10-ჯერ, ბულგარელებს და თურქებს — 7-7-ჯერ. 6 მატჩში ინგლისელებმა შეძლეს გერმანელების დამარცხება ასეთი ანგარიშით, 5-ში უნგრელებმა, 4-ში — ავსტრიელებმა.

11.10.1978 — 01.01.1981 წლებში გფრ-ის ნაკრებს ზედიზედ 23 შეხვედრა არ წაუგია; ხოლო 02.05.1979 — 14.06.1980 წლებში ზედიზედ 12 მატჩი მოიგო. ორივე სერიის დროს ნაკრებს იუპ დერვალი წვრთნიდა. ზედიზედ 10-მატჩიანი მოუგებელი სერია ჰქონდათ 03.07.1912 — 26.09.1920 წლებში, ხოლო ზედიზედ 7 მატჩი წააგეს 03.07.1912 — 23.11.1913 წლებში.

რევაზ შენგელია

BEAU (13) MONDE

# ანდრეას მიოლერი

დაიბადა 1967 წლის 2 სექტემბერს მაინის ფრანკფურტში
უცხოვრია ფრანკფურტში, დორტმუნდში, ბერგენ-ენგპაიმში, ტურინში
მშობლები: ფოლკერი და ელიზაბეტი. მეუღლე: მიქაელა
შვილი: 2 წლის ვალენტინა
სიმაღლე 180 სმ, წონა 73 კგ
თმა: ნაბლისფერი, თვალები: მუქი ლურჯი
მანქანა: მერსედეს 500 და სააბი 900
ჩვევა: ჩაცმის მერე ათჯერ იკრავს ბუცებზე თასმებს
კარიერა: ფრანკფურტის „შვარც-ვაის 1919" (1974-81), „აინტრახტი" (1981-88, 1990-92), დორტმუნდის „ბორუსია" (1988-90, 1994-), „იუვენტუსი" (1992-94)
გერმანიის ნაკრებში 63 თამაში. დებიუტი დიუსელდორფში: 21.09.1988. გერმანია — სსრკ 1:0
მიღწევები: მსოფლიო ჩემპიონი (1990), გერმანიის თასის მფლობელი („ბორუსია", 1989), უეფას თასის მფლობელი („იუვენტუსი", 1993)
ძლიერი მხარეები. პირად ცხოვრებაში: გულგრილია პრობლემებისა და კონფლიქტების მიმართ. თამაშის დროს: შემოქმედების ნიჭი, ბურთის გრძნობა, ძლიერი დარტყმა, სპრინტერის სისწრაფე
სუსტი მხარეები. პირად ცხოვრებაში: უყვარს კამათი. თამაშის დროს: დაცვის მიხედვა
უყვარს იტალიური საჭმელი და ფილმები ჯეიმს ბონდზე
მასზე ამბობენ: „როცა მიოლერის თამაშს ვუმზერ, მოცარტი მაგონდება" — ოტო რეჰაგელი. „ფრანკფურტში ბავშვი იყო, ტურინში კაცად იქცა" — ბეკენბაუერი.



# სიცრუე და ორპირობა

ერთ მშვენიერ დღეს დორტმუნდის „ბორუსიას" ფეხბურთელებმა ანდრეას მიოლერს მიკიბ-მოკიბვის გარეშე უთხრეს, გიჯობს, ჩვენთან ერთად გასახდელში არ შემოხვიდეო. მიოლერის მეგობარი და ვექილი კლაუს გერსტერი კლუბის გენერალური მენეჯერი იყო და მოთამაშეები ადვილად მიხვდნენ, ვინ იყო ის კაცი, მათი ნებისმიერი ნათქვამი ციმციმ გერსტერთან რომ მიჰქონდა. „სანამ შენ გუნდში ხარ, აქ მეგობრული ატმოსფერო ვერ დამყარდება" — უთხრა მიოლერს მიხაელ რუმენიგემ. მაშინვე დადგინდა, რომ 1990 წელს ანდრეასი „ბორუსიას" დატოვებდა. კლუბის მესვეურებმა ტრანსფერზე ფიქრი დაიწყეს. აქ კი მიოლერმა ისეთი ამბავი ატეხა, რომ დორტმუნდის გუნდის გარდა ნაკრებიდან წასვლაც მოუხდა. მეგობრებს გადაკიდებული ბეზლია ყოველდღე ურეკავდა ბერტი ფოგტსს და ხან ეუბნებოდა, არსად მივდივარ, „ბორუსიაში" ვრჩებიო, ხანაც „იუვენტუსი" ავირჩიეო, ხან კი ფრანკფურტის „აინტრახტს" ვუბრუნდებიო. შეწუხებულმა ფოგტსმა მიოლერის ხსენებაც კი აკრძალა, ფეხბურთელმა კი ამასობაში დორტმუნდის სტადიონზე საჯაროდ, მიკროფონში განაცხადა, ჩემი ახალი კლუბი აუცილებლად გერმანული იქნება, აბა, ერის მოღალატე ხომ არა ვარო. რამდენიმე თვეში ანდრეასი მართლაც ფრანკფურტში აღმოჩნდა, სადაც ადგილობრივმა გულშემატკივრებმა... კვერცხები დაუშინეს. თურმე, ნუ იტყვით და, ენატანიას „აინტრახტის" გარდა იმავდროულად ტურინის „იუვენტუსთანაც" დაუდია კონტრაქტი, თანაც იტალიური ხელშეკრულება გერმანულთან შედარებით გაცილებით მეტ ხელფასს უნაღდებდა. სკანდალი იმით დასრულდა, რომ მიოლერი ტურინში გადავიდა, ოღონდ სასამართლოში სირბილის და ნერვების წყვეტის ფასად. საქმე ის იყო, რომ ენდის (ანდრეასს ასეც ეძახიან) ფრანკფურტელებთან კონტრაქტში თავად შეუტანია მუხლი, რომლის თანხმადაც ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში მას კლუბისთვის 5 მილიონი მარკა უნდა გადაეხადა. ცხადია, „აინტრახტმა" ეს თანხა მოითხოვა. ფეხბურთელის ერთ-ერთმა ადვოკატმა, ჩემი კლიენტი ფულს მაშინ გადაიხდის, როდესაც იშოვნისო — განაცხადა. კლუბმა არც აცია, არც აცხელა და, მაგ კაცს დიდი თანხა უკვე ნაშოვნი აქვსო, შეაგება პასუხად, საბუთად კი ის ქვითრები გადმოალაგა, ანდრეასის შემოსავალს რომ ადასტურებდნენ. გაირკვა, რომ ენდი წელიწადში იმდენ ფულს ატრიალებდა, რამდენსაც ესა თუ ის ფირმა. „აინტრახტის" ბიუჯეტიდან — 20 მილიონი მარკიდან, პირადად მას 4 მილიონი უკვე მიღებული ჰქონდა, გარდა ამისა, 2 მილიონი ბე ეკუთვნოდა, ერთადერთი კაცი გახლდათ, ბეგარა რომ არ ეხებოდა, უეფას თასზე გასვლისთვის 1 მილიონიც ჩაეჯიბა და არდადეგებზე ზედაც 42 ათასს ითხოვდა. სასამართლომ საქმის გარჩევის შემდეგ 5-მილიონიანი ჯარიმა სამამდე შეამცირა, მაგრამ გატეხილ სახელს რალას მოუხერხებდა. მოსამართლე კიონტინგერმა მიოლერის „ცუღლუტობა" ერთიანი ევროპის მომავლი უბედურების რანგში აიყვანა. „ფინანსურ სამყაროში კონტრაქტის პირობები უნდა შესრულდეს, დამრღვევმა კი უნდა ზღოს" — განაცხადა მან.

მართლმსაჯულება მართლმსაჯულებად და „აინტრახტში" დიდი ამბავი ატყდა. ფეხბურთელებმა შეიტყვეს, რა თანხებს ილებდა თურმე მათი კოლეგა და საკუთარ შემოსავალს რომ შეადარეს, აღშფოთდნენ. „ახლა ყველამ იცის, რამხელა ხელფასის გადახდა ყოფილა შესაძლებელი, მეც მსურს დაახლოებით ამდენს ვიღებდე" — განაცხადა მეკარე ული შტაინმა, რომელსაც ნახევარმცველი უვე ბაინი აჰყვა. ზანგი ენტონი იებოა კი სიბრაზისგან ლამის გათეთრდა. განელ ფორვარდს იმ წელიწადს 7 მილიონად მიუნხენის „ბაიერნში" გადასვლა შეეძლო, მაგრამ ფრანკფურტელებმა როგორღაც მოთაფლეს, ისიც უთხრეს, შენზე დიდი თავდამსხმელი ევროპაში არ დადისო და... თურმე მიოლერის ხელფასის ნახევარსაც არ უხდიდნენ. თავად მიოლერი კი უკვე „იუვენტუსში" იყო. აქ იგი მეოთხე უცხოელი გახლდათ, რადგან ბრაზილიელ ხულიო სეზარს, გერმანელ იურგენ კოლერს და ინგლისელ დევიდ პლატს გუნდში მყარად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული. ახალი ლეგიონერი თითქოს ტრიბუნაზე ჯდომისთვის იყო განწირული, თანაც ხმები დაირხა, „ბებერი ქალბატონი" დენის ბერხკამპს იწვევს და მასში ამსტერდამის „აიაქსს" სწორედ ენდის უცვლისო, მაგრამ თავმოყვარე გერმანელმა ამგვარი დამცირება ვერ აიტანა და ისე ათამაშდა, რომ გაცვლა კი არა, მყის მოედანზე უკრეს თავი. მის ბედად, ხულიო სეზარი დაშავდა, პლატი „სამპდორიას" მიეყიდა და მეოთხე უცხოელი რობერტო ბაჯოსთან ერთად გუნდის ლიდერი გახდა.

1993 წლის მაისში უეფა-ს თასის ფინალში პირისპირ ანდრეას მიოლერის ძველი და ახალი გუნდები — დორტმუნდის „ბორუსია" და ტურინის „იუვენტუსი" წარდგნენ. მიოლერი, რომელსაც მიაჩნდა, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელზე — ბაჯოზე ძლიერია, მოედანზე ბღლვნიდა ყველაფერს. მან ისე ძლიერად ითამაშა, რომ შეხვედრის ბოლოს ჯოვანი ტრაპატონის მადლიერი ღიმილი დაიმსახურა, თუმცა იმ დღეს დორტმუნდში ენდის მხოლოდ მადლობა არ მოუსმენია. მთელი ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში, მიიღებდა თუ არა ბურთს, ყურში სტადიონის ერთხმა სისინი და შეძახილი „მიოლერ, შე იუდა" ჩაესმოდა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ერთი პირობა მიოლერი ნაკრებიდანაც დაითხოვეს. თავად განსაჯეთ, განა შეიკრებოდა გუნდი, როცა აინტრახტელი ბაინის და ანდრეას მიოლერის ერთად ყოფნა ატმოსფეროს ისე ძაბავდა, დანით თუ გაჭრიდითო — წერენ გერმანელი ჟურნალისტები. ამას ფოგტსის დამოკიდებულებაც ზედ დაერთო, მაგრამ უმიოლეროდ დიდხანს ვერ გაძლეს. დღეს გერმანიის ნაკრები ამ ფეხბურთელის გარეშე წარმოუდგენელია. ამბობენ, თვით ლოთარ მათეუსსაც არ ეხატებოდა ფლიდი თანაგუნდელი გულზე, მაგრამ ხმას არ იღებდა, რადგან კარგად ესმოდა, რომ მიოლერის გარეშე წარმატება არ არსებობს. იმედია, 29 მარტს თბილისში წარმატებას ვერც მიოლერით მიაღწევენ.

ილია ბაბუნაშვილი

## იტალია

# მალე ბაჯო დაბრუნდება

XXII ტური. 5 მარტი. ლაციო — ფიორენტინა 8:2 (კაზირაგი-4, ნეგრო, კრავერო, ბოქშიჩი, დი ვაიო; რუი კოშტა, ბატისტუტა), ბრეშია — მილანი 0:5 (სიმონე-3, მალდინი, სტროპა), კალიარი — ბარი 2:1 (დელი ვალდესი, მუცი; ამორუზო), ფოჯა — კრემონეზე 0:1 (კიეზა), ინტერი — იუვენტუსი 0:0, პადოვა — ნაპოლი 2:0 (ფრანჩესკეტი, ლონგი), რეჯანა — ჯენოა 0:1 (სკუპრავი), სამპდორია — რომა 3:0 (გულიტი-2, როსი), ტორინო — პარმა 0:2 (ძოლა, დ. ბაჯო)

ტურის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა რობერტო ბაჯოს გამოჩენა იყო — ჯერჯერობით „იუვენტუსის" სათადარიგოთა სკამზე, თუმცა ლიდერს ამან ვერ უშველა.

რომის „ლაციოს" კაპიტნის ჯუზეპე სინიორის არყოფნაში მისმა თანაგუნდელმა პიერ-ლუიჯი კაზირაგიმ გაილაღა — 4 გოლი გაუტანა „ფიორენტინას" (ორი — პენალტით). ფლორენციელთა არგენტინელმა ბომბარდირმა ბატისტუტამ სეზონში თავისი მეშვიდე პენალტი შეაგდო. მილანელმა მარკო სიმონემ კი ჩემპიონთა თასზე ოთხშაბათს გატანილ ორ გოლს კვირას იტალიის ჩემპიონატზე სამი დაუმატა.

წინა ტურში, „ინტერი" — „ფიორენტინას" მატჩის დროს (2:2) მილანელთა მწვრთნელი ჯაჩინტო ფაკეტი ისე ანერვიულდა, რომ თავისი ადგილი დაივიწყა და მოედანზე გაიჭრა. მსაჯმა მწვრთნელს წითელი ბარათი აუფრიალა. ელოდნენ, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ისტერიული საქციელის ჩამდენს გვარიანად დასჯიდა, მაგრამ შეფებმა სხვაგვარად განსაჯეს და ფაკეტის გაფრთხილება აკმარეს. სამაგიეროდ, კვლავაც სჯიან „ჯენოასა" და „მილანს". გენუის სტადიონზე მომხდარი მკვლელობის გამო ორივე გუნდს ორ-ორი თამაშის შინ ჩატარება აუკრძალეს და ორასი კილომეტრით მოშორებული სტადიონის მოძებნა დაავალეს. კლუბები ამ ვერდიქტმა ისე გააოცა, საჩივრის წერას მიჰყვეს ხელი. გეხსომებათ, რომ მკვლელობის შემდეგ კარგა დრო გავიდა და ასეთი სასჯელი დღეს იქნებ მართლაც ნაგვიანევი იყოს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 22 | 15 | 4 | 3 | 36-20 | 49 |
| პარმა | 22 | 13 | 6 | 3 | 35-17 | 45 |
| ლაციო | 22 | 11 | 4 | 7 | 49-28 | 37 |
| რომა | 22 | 10 | 7 | 5 | 28-17 | 37 |
| მილანი | 22 | 9 | 9 | 4 | 31-22 | 36 |
| სამპდორია | 22 | 9 | 8 | 5 | 36-19 | 35 |
| კალიარი | 22 | 9 | 8 | 5 | 26-22 | 35 |
| ფიორენტინა | 22 | 8 | 8 | 6 | 38-36 | 32 |
| ინტერი | 22 | 7 | 8 | 7 | 20-20 | 29 |
| ტორინო | 22 | 8 | 5 | 9 | 24-27 | 29 |
| ბარი | 22 | 9 | 2 | 11 | 24-30 | 29 |
| ნაპოლი | 22 | 6 | 9 | 7 | 25-32 | 27 |
| პადოვა | 22 | 8 | 2 | 12 | 25-43 | 26 |
| ფოჯა | 22 | 6 | 7 | 9 | 21-29 | 25 |
| ჯენოა | 22 | 6 | 6 | 10 | 23-31 | 24 |
| კრემონეზე | 22 | 6 | 4 | 12 | 18-26 | 22 |
| რეჯანა | 22 | 3 | 3 | 16 | 14-30 | 12 |
| ბრეშია | 22 | 2 | 6 | 14 | 12-36 | 12 |

**ბომბარდირები**

გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა) — 19
აბელ ბალბო (რომა) — 14
სანდრო ტოვალიერი (ბარი) — 13
ჯუზეპე სინიორი (ლაციო) — 13
ჯანლუკა ვიალი (იუვენტუსი) — 11
ჯანფრანკო ძოლა (პარმა) — 11
პიერ-ლუიჯი კაზირაგი (ლაციო) — 9
რუუდ გულიტი (სამპდორია) — 9
მარკო სიმონე (მილანი) — 9
რობერტო მუცი (კალიარი) — 8
ფაბრიციო რავანელი (იუვენტუსი) — 8
ალენ ბოკშიჩი (ლაციო) — 7
ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი) — 7
ტომაშ სკუპრავი (ჯენოა) — 7
რუჯერო რიციტელი (ტორინო) — 7

## ინგლისი

# რაში ლოუს გაუსწორდა

თასის მერვედფინალის გადათამაშება. 28 თებერვალი: უიმბლდონი — ლივერპული 0:2. 1 მარტი: კრისტალ პალასი — უოტფორდი 1:0 (დ.დ.); საუთჰემპტონი — ტოტენჰემი 2:6 (დ.დ. 2:2). მეოთხედფინალში ითამაშებენ: მანჩესტერ იუნაიტედი (მფლობელი) — ქუინზ პარკი; ევერტონი — ნიუკასლი; კრისტალ პალასი — ვულვერჰემპტონი; ლივერპული — ტოტენჰემი

პირველობა. 28 თებერვალი: იფსვიჩი — ნიუკასლი 0:2. 4 მარტი: ასტონ ვილა — ბლექბერნი 0:1; ლიდსი — შეფილდ უენსდეი 0:1; ლესტერი — ევერტონი 2:2; ლივერპული — ნიუკასლი 2:0; მანჩესტერ იუნაიტედი — იფსვიჩი 9:0; ნორვიჩი — მანჩესტერ სიტი 1:1; ნოტინგემი — ტოტენჰემი 2:2; საუთჰემპტონი — ქოვენთრი 0:0; უიმბლდონი — ქუინზ პარკი 1:3. 5 მარტი: არსენალი — ვესტ-ჰემი 0:1: ჩელსი — კრისტალ პალასი 0:0. 6 მარტი: ასტონ ვილა — ქოვენთრი 0:0. 7 მარტი: უიმბლდონი — მანჩესტერ იუნაიტედი 0:1

ფეხბურთის ასოციაციის თასის მეოთხედფინალის გადათამაშებამ ორ გრანდს — „ლივერპულსა" და „ტოტენჰემს" სტუმრად მოუწია, მაგრამ ახლა კი ივარგეს და შინ ფრედ დამთავრებული შეხვედრების შემდეგ იმავე მეტოქეებს სტუმრად მოუგეს.

„ლივერპულმა" „სელჰერსთ პარკზე" სტუმრობისთვის დაიბრუნა რაში, მოლბიუ და რადოქი. მასპინძლებს გიქმაჟი უელსელი მცველის — ვინი ჯოუნზის ამატება შეეძლოთ, მაგრამ არა ჰქნეს. არადა, ჯოუნზს უკვე გათავებოდა სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია, თავად კლუბმა რომ მისცა... ჟურნალისტისთვის ცხვირზე კბენის გამო.

„ლივერპულის" გოლები შესვენებამდე გაიტანეს ბარნსმა და იან რაშმა. ეს რაშის 41-ე ბურთი ყოფილა ასოციაციის თასის გათამაშებაში. ამ მაჩვენებლით უელსელი ფეხბურთელი შოტლანდიელ დენის ლოუს გაუთანაბრდა და XX საუკუნის ბომბარდირებს შორის მასთან ერთად ლიდერობს.

„ტოტენჰემს" უფრო დიდი ბრძოლა გახდა საუთჰემპტონის „დეილზე". შიფლიმ და ლეტიზიემ (პენალტით) მასპინძლები 2:0 დააწინაურეს. 44-ე წუთზე ლონდონელებმა თამაში ჩააბეს ისრაელის ნაკრების წევრი რონი როზენტალი, რომელიც „სპურზში" „ლივერპულიდან" კია გადასული, მაგრამ ამ სეზონში სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ხუთჯერ მოხვედრილა. ამჯერად შტატიანმა სათადარიგომ ხელი გამოიღო და ჯერ გაათანაბრა ანგარიში, დამატებით დროში კი მესამე გოლით თავისიანები პირველად დააწინაურა. როზენტალის გოლებს სხვა ტოტენჰემელებმაც — შერინგემმა, ბამბიმ და ანდერტონმა თითო გოლი მიაყოლეს და ბარაქიანადაც გაიმარჯვეს.

მესამე გადათამაშებაში „კრისტალ პალასმა" 118-ე წუთზეღა გატეხა „უოტფორდი" და გათამაშებას გამოთიშა.

პირველობა ტრადიციულად ქაოსურად გრძელდება, რასაც ერთობ უწყობს ხელს მონაწილეთა ფრიადი რაოდენობა (22) და ამინდის ხშირი ჭირვეულობა. გაისიდან ეს პრობლემა მოიხსნება: პირველობას 18 გუნდიღა უნდა შემორჩეს, ამიტომაც ერთბაშად ოთხი მაჩანჩალა გავარდება.

უჭირთ დედაქალაქის გუნდებს — „ვესტ ჰემსა" და „კრისტალ პალასს", თუმცაკი ეს უკანასკნელი ერთბაშად სამ კურდღელს: ორივე თასსა და პირველობას ეპოტინება. ორშაბათს კლუბის მენეჯერ ალან სმითს თხოვნითაც მიუმართავს ასოციაციისთვის, კანბისის მწეველი ქრის არმსტრონგი გვათამაშებინეთო, მაგრამ ასოციაციას უარი მიუგია, ფეხბურთელთა კავშირის წესებით ნარკომანს დისკვალიფიკაცია და შემდგომი სარეაბილიტაციო პერიოდი ერგებაო.



იან რაში

დაძაბულობაა ცხრილის კენწეროშიც. შაბათს „ბლექბერნ როვერსს" მძიმე გასვლა ჰქონდა ბირმინგემის „ვილა პარკზე". ლიდერმა მე-11 წუთზე გატანილი ერთადერთი გოლით გაიმარჯვა: ვილქოქსმა კუთხური მიაწოდა, ჰენდრიმ კი ბურთს ბადეში მიუჩინა ადგილი. თამაშის ბოლოს მასპინძლები ანგარიშმიუცემლად შტურმზე გადავიდნენ, მათი ავსტრალიელი მეკარე ბოსნიჩი კუთხურის მიწოდებისას მეტოქის საჯარიმოშიც კი შეიჭრა, მაგრამ უმალ მძაფრი კონტრიერიშის მოგერიება მოუხდა.

გავიდა ორი დღე და „ასტონ ვილა" შინ ისევ გაწბილდა — ვერ მოუგო „კოვენტრის", რომელსაც ნოემბერში „ვილადან" გაგდებული რონ ატკინსონი ავარჯიშებს.

„ბლექბერნს" აქამდე მდევარ „მანჩესტერ იუნაიტედზე" ბევრად უკეთესი ბურთების სხვაობა ჰქონდა, რაც ჩემპიონატის ფინიშზე შეიძლება ერთობ გამოსადგომოდა. განვლილმა ტურმა ყველაფერი ყირაზე დააყენა, რაკილა ჩემპიონმა პირველობის სამწლიან ისტორიაში უდიდესი ანგარიშით — 9:0 გაანადგურა „იფსვიჩი". პირველი გოლი მე-15 წუთზე გავიდა. საბოლოოდ, ოთხი გაიტანა 7 მილიონ დოლარად შეძენილმა ენდი კოულმა, ორი — ჰიუზმა, თითო — ქინმა და ინსმა, ერთიც — საკუთარ კარში, იფსვიჩელმა იალოპმა. არადა, ამ გოლის გამტანობაზეც კოულს ჰქონია პრეტენზია. გარდა ამისა, „მანჩესტერს" უთამაშებია კანჩელსკისი, რითაც მისი გული მოუგია და კლუბიდან წასვლა გადაუფიქრებინებია.

ამავე ტურში კევინ კიგანის ძველი და ახლანდელი კლუბები — „ლივერპული" და „ნიუკასლი" შეიბნენ „ანფილდზე". რაშმა კვლავაც ისახელა თავი — 63-ე წუთზე მეკარისთვის გამიზნული გადაცემა ჩაჭრა და მეორე ბურთი გაიტანა. პირველი გოლი ანფილდელთა ნორჩმა ვარსკვლავმა, რობერტ ფაულერმა შეაგდო.

ლივერპულის მეორე გუნდი — „ევერტონი" მეთოდურად სცილდება გასავარდნ ზონას. კლუბი შაბათს ესტუმრა ჩამოსაქვეითებლად გადადებულ „ლესტერს" და შვედი ლიმპარისა და ვინი სემვეიზის გოლებით ორჯერაც უგებდა, მაგრამ ამ სემვეიზია და შოტლანდიელი დანკან ფერგუსონის გაძევების შემდეგ 9 კაცის ამარად დარჩენილმა ფრეც იკმარა.

„არსენალმა" მექრთამეობაში მხილებული მწვრთნელის — ჯორჯ გრემის დათხოვნის შემდეგ ვერც თასების თასზე იასპარეზა ხეირიანად და ვერც პირველობაზე: დონ ჰაჩისონის გოლმა „ვესტ ჰემს" გაამარჯვებინა. სამაგიეროდ, კიდევ ერთ ლონდონურ დერბიში გაიმარჯვა „ქუინზ პარკმა", თუმცაკი ჰოლზვორსის გოლის შემდეგ „უიმბლდონთან" 0:1 აგებდა. გამარჯვებულთაგან ორი ბურთი ლეზ ფერდინანდის ანგარიშზეა, ერთი — ჰოლოვეისაზე.

„ტოტენჰემი" ნოტინგემში სტუმრობდა. კლინსმანის გადაცემით ანგარიში შერინგემმა გახსნა, მაგრამ მერე მასპინძლები ბოჰინენისა და ლიის გოლებით დაწინაურდნენ. სტუმართათვის ქულა იხსნა კოლდერვუდმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნ. | 32 | 21 | 6 | 5 | 63-22 | 69 |
| ბლექბერნი | 31 | 21 | 6 | 4 | 64-26 | 69 |
| ნიუკასლი | 31 | 16 | 9 | 6 | 52-33 | 57 |
| ლივერპული | 29 | 15 | 9 | 5 | 50-23 | 54 |
| ნოტინგემი | 31 | 13 | 9 | 9 | 44-35 | 48 |
| ტოტენჰემი | 29 | 12 | 8 | 9 | 48-42 | 44 |
| ლიდსი | 29 | 11 | 10 | 8 | 35-29 | 43 |
| შეფილდ უენს. | 31 | 11 | 9 | 11 | 40-40 | 42 |
| არსენალი | 31 | 10 | 10 | 11 | 35-33 | 40 |
| ასტონ ვილა | 33 | 9 | 12 | 12 | 46-46 | 39 |
| ქოვენთრი | 32 | 9 | 12 | 11 | 33-47 | 39 |
| უიმბლდონი | 31 | 11 | 6 | 14 | 36-54 | 39 |
| ჩელსი | 29 | 9 | 10 | 10 | 37-39 | 37 |
| ნორვიჩი | 30 | 9 | 10 | 11 | 28-34 | 37 |
| მანჩესტ. სიტი | 30 | 9 | 10 | 11 | 38-45 | 37 |
| ქუინზ პარკი | 28 | 9 | 8 | 11 | 43-47 | 35 |
| ევერტონი | 31 | 8 | 11 | 12 | 32-41 | 35 |
| საუთჰემპტონი | 29 | 6 | 14 | 9 | 40-46 | 32 |
| ვესტ ჰემი | 30 | 9 | 5 | 16 | 28-39 | 32 |
| კრისტ. პალასი | 30 | 7 | 10 | 13 | 21-31 | 31 |
| იფსვიჩი | 31 | 6 | 5 | 20 | 31-69 | 23 |
| ლესტერი | 30 | 4 | 9 | 17 | 33-56 | 21 |

## ესპანეთი

XXIV ტური. 4-5 მარტი. სოსიედადი — ტენერიფე 5:2, ოვიედო — ვალენსია 1:0, ვალიადოლიდი — ატლეტიკო 3:1, ბარსელონა — სარაგოსა 3:0, ლა კორუნია — კომპოსტელა 1:0, ალბასეტე — სევილია 1:1, სელტა — ესპანიოლი 1:2, ლოგრონიესი — ატლეტიკო 0:1, ბეტისი — რასინგი 2:0, რეალი — სპორტინგი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 24 | 15 | 7 | 2 | 57-17 | 37 |
| ბარსელონა | 24 | 14 | 5 | 5 | 43-30 | 33 |
| ლა კორუნია | 24 | 12 | 8 | 4 | 38-21 | 32 |
| ბეტისი | 24 | 9 | 11 | 4 | 30-14 | 29 |
| სარაგოსა | 24 | 12 | 4 | 8 | 34-32 | 28 |
| ატლეტიკო | 24 | 9 | 9 | 6 | 20-20 | 27 |
| ესპანიოლი | 24 | 9 | 8 | 7 | 31-25 | 26 |
| სევილია | 24 | 9 | 7 | 8 | 30-26 | 25 |
| ოვიედო | 24 | 9 | 7 | 8 | 28-26 | 25 |
| სოსიედადი | 24 | 7 | 10 | 7 | 35-30 | 24 |
| ტენერიფე | 24 | 9 | 6 | 9 | 35-32 | 24 |
| ვალენსია | 24 | 8 | 8 | 8 | 33-30 | 24 |
| ალბასეტე | 24 | 5 | 11 | 8 | 29-36 | 21 |
| სელტა | 24 | 6 | 9 | 9 | 21-32 | 21 |
| კომპოსტელა | 24 | 6 | 8 | 10 | 23-34 | 20 |
| ატლეტიკო | 24 | 7 | 6 | 11 | 37-38 | 19 |
| რასინგი | 24 | 7 | 5 | 12 | 27-33 | 19 |
| სპორტინგი | 24 | 5 | 8 | 11 | 26-45 | 18 |
| ვალიადოლიდი | 24 | 5 | 8 | 11 | 16-39 | 18 |
| ლოგრონიესი | 24 | 1 | 7 | 16 | 7-40 | 9 |

## გერმანია

XX ტური. 3-5 მარტი. კაიზერსლაუტერნი — დორტმუნდი 1:0, აინტრახტი — ლევერკუზენი 2:0, დუისბურგი — კარლსრუე 0:0, მიონხენგლადბახი — ბაიერნი 2:2, კიოლნი — შტუტგარტი 1:0, ჰამბურგი — შალკე 3:0, ფრაიბურგი — დინამო 3:1, ბოხუმი — ვერდერი 1:3, მიუნხენ 1860 — ურდინგენი თოვლის გამო გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 20 | 14 | 4 | 2 | 47-17 | 32 |
| ვერდერი | 20 | 13 | 4 | 3 | 37-21 | 30 |
| ფრაიბურგი | 20 | 12 | 4 | 4 | 42-25 | 28 |
| კაიზერსლაუტ. | 20 | 11 | 6 | 3 | 30-21 | 28 |
| გლადბახი | 20 | 10 | 6 | 4 | 43-26 | 26 |
| ბაიერნი | 20 | 8 | 10 | 2 | 37-27 | 26 |
| კარლსრუე | 20 | 7 | 8 | 5 | 31-29 | 22 |
| ლევერკუზენი | 20 | 6 | 8 | 6 | 32-26 | 20 |
| ჰამბურგი | 20 | 8 | 4 | 8 | 30-27 | 20 |
| შტუტგარტი | 20 | 7 | 5 | 8 | 34-37 | 19 |
| შალკე | 20 | 5 | 8 | 7 | 23-27 | 18 |
| აინტრახტი | 20 | 7 | 4 | 9 | 22-31 | 18 |
| კიოლნი | 20 | 6 | 5 | 9 | 31-38 | 17 |
| ურდინგენი | 19 | 3 | 6 | 10 | 19-29 | 12 |
| ტსვ მიუნხენი | 19 | 2 | 7 | 10 | 19-36 | 11 |
| დუისბურგი | 20 | 3 | 5 | 12 | 14-33 | 11 |
| დინამო | 20 | 3 | 4 | 13 | 18-37 | 10 |
| ბოხუმი | 20 | 4 | 2 | 14 | 22-44 | 10 |

# ევროპის საკლუბო ტურნირები

**მეოთხედფინალის პირველი მატჩები. 2 მარტი**

### თასების თასი

**„ფეიენოორდი" (ჰოლანდია) — „სარაგოსა" (ესპანეთი) 1:0**

61-ე წუთზე შვედმა ჰენრიკ ლარსონმა წლევანდელ ტურნირში თავისი მე-7 გოლი გაიტანა და თავისიანებს მოაგებინა. ჰოლანდიელებს 86-ე წუთზე რობ ვიჩხე გაუძევეს, რომელმაც ესპანელ ხუან ნაიმის სილა გააწნა.

**„არსენალი" (ინგლისი) — „ოსერი" (საფრანგეთი) 1:1**

იან რაიტმა დანიელი ჯონი იენსენის ნაქცევისთვის დანიშნული საეჭვო პენალტით ანგარიში გახსნა, მაგრამ ფრანგებს ჰოლანდიელმა მცველმა ფრანკ ვერლაატმა უშველა: თავის საქმესაც უშეცდომოდ მიხედა და საპასუხო გოლიც შეაგდო.

**„სამპდორია" (იტალია) — „პორტუ" (პორტუგალია) 0:1**

პორტუგალიელთაგან საუკეთესო რუი ბარუში იყო, გოლი კი 64-ე წუთზე რუსმა იურანმა გაიტანა.

### უეფას თასი

**„პარმა" (იტალია) — „ოდენსე" (დანია) 1:0**

პარმელებმა ვერაფერი მოუხერხეს სამოყვარულო დანიურ კლუბს და ძოლას მიერ მეორე ტაიმში გატანილ პენალტს დასჯერდნენ.

იაპონიამ და სამხრეთმა კორეამ დროულად, 28 თებერვლამდე აუწყეს ფიფას, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სურთ. აზიის ამ ორ ქვეყანასთან ერთად შვეიცარიაში მექსიკის განაცხადსაც ელოდნენ, მაგრამ ამაოდ. ქვეყანაში, სადაც მსოფლიოს პირველობა უკვე ორჯერ გაიმართა, ადგილობრივი ვალუტის, პესოს კურსის დაცემამ და ბოლო დროს მომძლავრებულმა პოლიტიკურმა უწესრიგობამ ორჭოფობა გამოიწვია, რის გამოც ჩემპიონატის მესამედ დაბევებაზე ამთავითვე უარი განაცხადეს. ამგვარად, 21-ე საუკუნე ახლებურად დაიწყება, პირველად ისტორიაში უდიდეს საფეხბურთო შეჯიბრებას აზია უმასპინძლებს. იაპონიასაც და კორეასაც თავიანთი შესაძლებლობების წვრილად შესასწავლად და დალაგებით აღსაწერად დრო 30 სექტემბრამდე აქვთ. შეიგულა რა პირველობა თავის კონტინენტზე, აზიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა პიტერ ვილაპანმა ჟენევაში მოკალათებულ შეფებს ახალი აზრი მიაწოდა, რახან ჩემპიონატში 32 გუნდი მონაწილეობს, ამდენის მასპინძლობას კი ერთი ქვეყანა ვერ აუვა, ამიტომაც თამაშები ორივეში გავმართოთო. ვილაპანის თქმით, არც ორი მასპინძლის შესარჩევი ტურნირის გარეშე დაშვებაა საშინელება და ამ მოსაზრებასაც ფინალისტი გუნდების სიუხვით გაუმაგრა ზურგი, აქაოდა, ცოტა გუნდში ორის პირდაპირ დაშვება უხერხულია, ბევრში კი სავსებით შესაძლებელიო. ჟენეველმა ბოსებმა აზიელს უარი უთხრეს. მათი აზრით, ორი ქვეყნის მასპინძლობა გახსნისა და ფინალური მატჩის ჩატარებაზე დიდ ჩხუბს გამოიწვევს. ფეხბურთის სამყარო კონსერვატულია და თავისი წეს-ჩვეულებები აქვს, ისე კი, სპორტის სხვა სახეობებში, მაგალითად, რაგბსა და კრიკეტში, რომლებიც აზიაში მეტად მოდებულია, ორმასპინძლიანობა უკვე მომხდარა და უკონფლიქტოდაც ჩაუვლია. საბოლოოდ, ორი მაძიებლიდან ერთი გამარჯვებული 1996 წლის ივნისში დასახელდება.

### ფეხბურთის რუკასთან



**გერმანიაში** დრეზდენის „დინამომ" მწვრთნელი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ჰორსტ ჰრუბეში გაათავისუფლა. ნაკრების ყოფილ თავდამხმელს დრეზდენელთა გუნდისთვის სამ თვეში დიდი წარუმატებლობა მოუტანია.

**საფრანგეთის** ნაკრების ფორვარდს ერიკ კანტონას, რომელმაც მანჩესტერში ვიღაც გულშემატკივარი გალახა, სასჯელი ფიფამაც გამოუტანა. ერიკს ოქტომბრამდე მსოფლიო დისკვალიფიკაცია მისცეს. მის სამშობლოში კი „ნანტი" წაუგებელი თამაშების რეკორდს აუმჯობესებს. უეფა-ს თასზე ლევერკუზენში „ბაიერთან" 1:5 სირცხვილის ჭამის შემდეგ, შინ დაბრუნებულმა ლიდერმა „ნიცას" 2:1 მოუგო და ახლა 11 ქულით უსწრებს „პარი სენ ჟერმენს", რომელმაც „ოსერთან" 1:1 ითამაშა, 12 ქულით კი „სენტ ეტიენის" 1:0 მძლეველ „ლიონს". „ნიცასთან" გამარჯვება ნანტელთათვის ლიგაში 28-ე წაუგებელი თამაში ყოფილა. საფრანგეთის ამბებიდან ერთსაც გამოვყოფთ. ცნობილმა ტელეკომპანიამ TF-1-მა არ გადასცა „არსენალის" და „ოსერის" ამასწინანდელი თამაში თასების თასზე. მიზეზი: ლონდონის „ჰაიბერის" სტადიონზე რომელიღაც ლიქიორის რეკლამა მდგარა, ტელეკომპანიას კი თურმე სპირტიანი სასმელების რეკლამირება ეკრძალება.

**გერმანიის** საფეხბურთო კავშირმა ახალი ბრძოლა წამოიწყო. ბრძოლის ობიექტები ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც, კავშირის აზრით, გოლით გამოწვეული სიხარულის გამოხატვის სულელურ ფორმას, მაისურის გახდას ნერგავენ.

**ჰოლანდიაში** „როდამ" მოუგო „დორდრეხტს" 1:0 და ახლა „აიაქსს" ერთი ქულით ჩამორჩება, მაგრამ თამაშები მეტი აქვს ჩატარებული. მიზეზი ის არის, რომ ამსტერდამის გუნდს წვიმების დროს სტადიონი ჰქონდა დატბორილი.

**ირლანდიაში** ინგლისის ნაკრების ამხანაგური სტუმრობა თამაშის ჩაშლითა და გულშემატკივრების მუშტი-კრივით რომ დასრულდა, ცნობილი ამბავია. ახლა ორივე მხარე იმას ჩალიჩობს, როგორმე შეხვედრა გადაითამაშონ. 1964 წლიდან ერთმანეთის უნახავ გუნდებს ხელახალი თამაშისთვის ჭერ თარიღი ვერ შეურჩევიათ. თუ მატჩი ამ სეზონში შედგება, ეს 22 მაისს იქნება, თუ არა, შემოდგომაზე.

**პორტუგალიაში** „პორტუმ" 2:1 დაამარცხა „ბენფიკა". თამაში ბურთაობაზე მეტად ომს წააგავდა. მსაჯმა გააფრთხილა 15 ფეხბურთელი, ორივე გუნდს კი თითოც გაუძევა.

**შოტლანდიაში** მოთოვა. „მოზერუელ" — „ფოლკირკის" თამაში გადაიდო, „პარტიკ თისლი" — „ჰართსის" თამაში კი თოვლის გამო 57-ე წუთზე შეწყდა. ანგარიში ამ დროს 0:0 იყო. „რეინჯერსმა" ედინბურგში „ჰიბსთან" ფრე (1:1) გაახერხა და მდევრებს 16 ქულით უსწრებს.

### საქართველოს ჩემპიონატის განრიგი

II წრე
(ვერის ბაღი)

**13 მარტი**
თორსი — გეორგიკა
დინამო — შევარდენი
აზოტი — თსუ
მერანი — ქუთაისი

**14 მარტი**
გეორგიკა — დინამო
ვითა — თორსი
ქუთაისი — აზოტი
თსუ — კაქტუსი

**15 მარტი**
შევარდენი — გეორგიკა
ქუთაისი — თსუ
დინამო — ვითა
მერანი — კაქტუსი

**16 მარტი**
ვითა — შევარდენი
თორსი — დინამო
კაქტუსი — ქუთაისი
აზოტი — მერანი

**17 მარტი**
შევარდენი — თორსი
გეორგიკა — ვითა
თსუ — მერანი
კაქტუსი — აზოტი

**18 მარტი**
დინამო — ქუთაისი

**19 მარტი**
თორსი — ქუთაისი

**20 მარტი**
ვითა — ქუთაისი

**21 მარტი**
გეორგიკა — ქუთაისი

**22 მარტი**
თსუ — ქუთაისი

**23 მარტი**
ვითა — თსუ
დინამო — მერანი
შევარდენი — აზოტი
კაქტუსი — გეორგიკა

**24 მარტი**
თორსი — მერანი
დინამო — აზოტი
კაქტუსი — შევარდენი
გეორგიკა — თსუ

**25 მარტი**
ვითა — მერანი
თორსი — აზოტი
კაქტუსი — დინამო
შევარდენი — თსუ

**26 მარტი**
ვითა — აზოტი
კაქტუსი — თორსი
დინამო — თსუ
გეორგიკა — მერანი

**27 მარტი**
კაქტუსი — ვითა
თორსი — თსუ
შევარდენი — მერანი
გეორგიკა — აზოტი

პირველი წრის გამოტოვებული მატჩი „კაქტუსი" — „დინამო" გაიმართება 27 მარტიდან 4 აპრილამდე გუნდების მოლაპარაკების მიხედვით.

**ფინალური ექვსეული**
**(სპორტის სასახლე)**
I ტური. 4-8 აპრილი
II ტური. 12-16 აპრილი

**ნახევარფინალები (ორ მოგებამდე)**
20, 21, 22 აპრილი

**დიდი და მცირე ფინალები**
**(ორ მოგებამდე)**
25, 26, 27 აპრილი

### სატურნირო მდგომარეობა

„თბილისი" გამოაკლდა ჩემპიონატს, რის შემდეგაც მისი შედეგები გაუქმდა და სატურნირო ცხრილმა ასეთი სახე მიიღო:

| | თ | მ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| კაქტუსი | 8 | 8 | 0 | 824-526 |
| ვითა | 9 | 8 | 1 | 985-569 |
| დინამო | 8 | 7 | 1 | 781-534 |
| მერანი | 9 | 6 | 3 | 738-701 |
| თორსი | 9 | 5 | 4 | 603-749 |
| აზოტი | 9 | 4 | 5 | 723-764 |
| თსუ | 9 | 3 | 6 | 612-745 |
| ქუთაისი | 9 | 2 | 7 | 590-805 |
| შევარდენი | 9 | 1 | 8 | 559-786 |
| გეორგიკა | 9 | 0 | 9 | 580-816 |

# კალათბურთელები გლადიატორები არ არიან

**საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ევროპის ჩემპიონატების საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მზადების გამო, ინფორმაციას ჩვენი ჩემპიონატის ორ ფავორიტზე — „ვითასა" (ეროვნული ნაკრების ბირთვი) და „კაქტუსზე" (ახალგაზრდული ნაკრების ბირთვი) მკითხველი, მეტ-ნაკლებად იღებს. ამასობაში კი თითქმის მიგვავიწყდა მესამე ფავორიტი — თბილისის „დინამო". გუნდის მთავარი მწვრთნელის ლევან მოსეშვილისაგან იმის შეტყობა გადავწყვიტეთ, როგორ მოემზადა შარშანდელი მესამე პრიზიორი ჩემპიონატის მეორე წრისთვის.**



— პირველი წრის შემდეგ ერთთვიანი შესვენება გვქონდა დაგეგმილი. მაგრამ ბაზაზე სიცივე იყო, არ გვქონდა წყალი და სხვა ელემენტარული პირობები. ამიტომ შესვენება ორ თვემდე გაგვიგრძელდა. იანვრის ბოლოდან დავიწყეთ მზადება. დღეში ორჯერად ვარჯიშებს ვერ ვახერხებთ: მიმოსვლა ჭირს, კლუბს არც სპორტსმენთა კვების ფული აქვს. იძულებული ვართ, ერთხელ ვივარჯიშოთ...

**— ცხადია მომზადებით კმაყოფილი არ იქნებით.**

— რა თქმა უნდა, არა. წარმოუდგენელია, დღეს სპორტსმენმა დღეში ერთი ვარჯიშით რაღაცას მიაღწიოს. ამას სხვა პრობლემები დაემატა: ერთხანს ცხვედიანი და ქარაბაკი ნაკრებთან ერთად ემზადებოდნენ. გუნდში სულ 10 კაცი გვყავს და იმ დროს ხუთი-ხუთზეც ვერ ვთამაშობდით. კომბინაციებზე ლაპარაკი ძვირად თუ იყო.

**— არადა, სეზონის წინ „დინამოს" კარგი პირობები ჰქონდა...**

— გვქონდა, მაგრამ აღარა გვაქვს. იმ ხალხს, ვინც გვპატრონობდა, გაუჭირდა საქმის ბოლომდე მიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს გვიკეთებდნენ, რაც შეეძლოთ. ძნელია დღეს კლუბის შენახვა. ამ საქმეს უნდა კაცი, რომელიც მხოლოდ ამით იქნება დაკავებული. ახლა მწვრთნელსაც უწევს სხვადასხვა თანამდებობების შეთავსება, მოთამაშესაც.

**— გუნდი ვინმეს ხომ არ დაუტოვებია?**

— არ ჩანს ალექსანდრე ფერიაშვილი. მან ტელეფონით საუბრისას თქვა, რომ უხელფასობის გამო უჭირს ოჯახის შენახვა და სამუშაოდ წავიდა ოდესაში.

**— სანაცვლოდ თუ მიიღეთ ვინმე?**

— ალბათ იცით, რომ ირაკლი ბაქრაძე საბერძნეთიდან დაბრუნდა. ვეცდებით, რომ იგი ჩვენთან ვათამაშოთ. ბაქრაძე საბერძნეთში „დინამოდან" წავიდა და, ალბათ, წესითა და რიგით, ისევ ჩვენს გუნდში უნდა მოვიდეს. თუმცა, ყველაფერს ალბათ მატერიალური მომენტი გადაწყვეტს.

**— ამას წინათ ბაქრაძემ „სარბიელს" განუცხადა ,რომ „ვითადან" მიიღო მოწვევა...**

— ზუსტად ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ ის ვიცი, რომ ისრაელში გამგზავრების წინ სახლში დამირეკა. ყოველ შემთხვევაში, ვიმეორებ, წესი ასეთია: საიდანაც წახვედით, იქ უნდა დაბრუნდე. არ არის ირაკლი ის ბიჭი, უზნეოდ რომ მოიქცეს. თუკი სხვაგან გადაწყვეტს თამაშს, დარწმუნებული ვარ, მოვა და გამაფრთხილებს.

**— სეზონის წინ „დინამოს" მიზანი ჩემპიონობა იყო. ახლა?**

— თუ დავაზუსტებთ, პირველი მიზანი ფლეი-ოფში მოხვედრა გახლდათ. ახლა „თბილისი" დაიშალა და ნათელია, რომ „დინამო" სამეულში აუცილებლად მოხვდება. ჩვენს, „კაქტუსისა" და „ვითას" დავაში ჩამრევს უბრალოდ ვერ ვხედავ. აი, სამეულში როგორ განაწილდება ადგილები, ნამდვილად არ ვიცი. ჩვენს კონკრეტულ მიზნებზე ფლეი-ოფში მოხვედრის შემდეგ ვისაუბროთ.

**— წლევანდელი ჩემპიონატი ძალიან ჩამოუვარდება წინამორბედს?**

— უკვე ცხადად ჩანს, რომ ამ ორი შეჯიბრების შედარება არც კი შეიძლება. ჯერ ერთი, გაუარესებულა ორგანიზაციული მხარე. მეორეც, შეიძლება ამდენი და ამხელა შესვენებები? არ გამიგია, ერთ სეზონში გუნდი სამჯეროთხჯერ მიიყვანო ფორმამდე. შეიძლება ორი-სამკვირიანი შესვენება. მაგრამ ოთხი თვე ნამეტანია. ჩემპიონატის მსვლელობაში იყო მატჩები, რომელთა გამართვა არ შეიძლებოდა. გაიხსენეთ ჩვენი და „კაქტუსის" მატჩი. კიდევ კარგი, იგი გადავედით. რომ გვეთამაშა, ისეთი სიცივე იყო, რამდენიმე მოთამაშე აუცილებლად დაიმტვრეოდა. ამის მოგვარება ხომ მაინც შეიძლება. ბოლოსდაბოლოს კალათბურთელები გლადიატორები ხომ არ არიან.

**— ეს შეკითხვა ეხება არა „დინამოს", არამედ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელს. რა აზრისა ხართ ფედერაციის გადაწყვეტილებაზე, რომ სისუსტის გამო ნაკრები არ გაიგზავნოს ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებზე?**

— მართალი გითხრათ, ფედერაციის ამ გადაწყვეტილების შესახებ პირველად ამ წუთს გავიგე თქვენგან. ჩემთვის, მწვრთნელისთვის, ოფიციალურად არავის არაფერი შეუტყობინებია. რა თქმა უნდა, გადაწყვეტილება არასწორია. მართალია, მე დავთანხმდი ამ გუნდის მწვრთნელობას, მაგრამ ისიც დავსძინე: თუკი არ იქნა შესაბამისი კონტიგენტი და ნაკრებიც სუსტი შეიკრიბება, პირადად მე ვტოვებ მწვრთნელის თანამდებობას. მაგრამ, ვიმეორებ, ეს იქნებოდა პირადად ჩემი გადაწყვეტილება. ისე, გუნდი ყველა შემთხვევაში უნდა წასულიყო ინგლისში — ამ ბავშვებისთვის ეს სკოლა და გამოცდილების მიღების საუკეთესო საშუალება იქნებოდა.

მერაბ რატიშვილი

### იტალიის ჩემპიონატი

26-ე ტური. 4-5 მარტი

ფილოდორო (ბოლონია) — ბაკლერი (ბოლონია) 84:83; ბენეტონი (ტრევიზო) — სკავოლინი (პეზარო) 92:84; კაჯივა (ვარეზე) — ფიზერი (რეჯიო-კალაბრია) 99:82; მადიგანი (პისტოია) — ილიკაფე (ტრიესტი) 94:92; მეტასისტემი (რეჯიო-ემილია) — პანაპესკა (მონტეკატინი) 86:93; ბირექსი (ვერონა) — კომერსონი (სიენა) 85:78; სტეფანელი (მილანი) — ტეორემატური (რომი) 108:92

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ბაკლერი | 26 | 19 | 7 | 2218-2084 | 38 |
| ფილოდორო | 26 | 19 | 7 | 2206-2052 | 38 |
| სკავოლინი | 26 | 18 | 8 | 2205-2085 | 36 |
| კაჯივა | 26 | 18 | 8 | 2364-2185 | 36 |
| სტეფანელი | 26 | 17 | 9 | 2264-2128 | 34 |
| ბენეტონი | 26 | 16 | 10 | 2215-2034 | 32 |
| ბირექსი | 26 | 16 | 10 | 2138-2125 | 32 |
| ტეორემატური | 26 | 15 | 11 | 2106-2154 | 30 |
| კომერსონი | 26 | 11 | 15 | 1969-2020 | 22 |
| ფიზერი | 26 | 9 | 17 | 2137-2279 | 18 |
| მადიგანი | 26 | 9 | 17 | 2149-2236 | 18 |
| ილიკაფე | 26 | 8 | 18 | 2125-2256 | 16 |
| პანაპესკა | 26 | 4 | 22 | 2193-2396 | 8 |
| მეტასისტემი | 26 | 3 | 23 | 2084-2372 | 6 |

ბომბარდირები:

არიან კომაზეცი (კაჯივა) 904
მაიკ მიტჩელი (მეტასისტემი) 758
ჰენრი ვილიამსი (ბირექსი) 661
პრედრაგ დანილოვიჩი (ბაკლერი) 623

### ესპანეთის ჩემპიონატი

30-ე ტური. 5 მარტი

ამვაი (სარაგოსა) — ბრეოგანი (ლუგო) 93:98; კორენი (ორენსე) — ვალვი (ხირონა) 80:72; პამესა (ვალენსია) — ხუვენტუდი (ბადალონა) 69:70; ესტუდიანტესი (მადრიდი) — ტდკ (მანრესა) 74:80; ფესტინა (ანდორა) — სალამანკა 81:57; უნიკახა (მალაგა) — რეალ-მადრიდი 90:96; ბარსელონა — კახა სან-ფერნანდო (სევილია) 76:81; მურსია — სომინტანო (უესკა) 87:80; ლეონი — ფორუმი (ვალიადოლიდი) 87:78; კასერესი — ტაუგრესი (ვიტორია) 84:83

| | თ | მ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 30 | 24 | 6 | 2552-2287 |
| ტაუგრესი | 30 | 19 | 11 | 2537-2441 |
| რეალი | 30 | 18 | 12 | 2380-2213 |
| ამვაი | 30 | 18 | 12 | 2682-2639 |
| ტდკ | 30 | 18 | 12 | 2362-2274 |
| უნიკახა | 30 | 18 | 12 | 2479-2416 |
| სან-ფერნანდო | 30 | 17 | 13 | 2355-2323 |
| ფესტინა | 30 | 17 | 13 | 2390-2372 |
| ლეონი | 30 | 15 | 15 | 2295-2234 |
| ესტუდიანტესი | 30 | 15 | 15 | 2505-2484 |
| ფორუმი | 30 | 15 | 15 | 2457-2466 |
| ხუვენტუდი | 30 | 14 | 16 | 2325-2371 |
| მურსია | 30 | 14 | 16 | 2480-2515 |
| სალამანკა | 30 | 13 | 17 | 2225-2298 |
| კასერესი | 30 | 13 | 17 | 2325-2403 |
| კორენი | 30 | 12 | 18 | 2326-2430 |
| ვალვი | 30 | 12 | 18 | 2257-2340 |
| პამესა | 30 | 12 | 18 | 2415-2485 |
| უესკა | 30 | 11 | 19 | 2339-2448 |
| ბრეოგანი | 30 | 5 | 25 | 2245-2508 |

ბომბარდირთა შორის ლიდერობს ოსკარ შმიდტი (ფორუმი) — 713 ქულა


**წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების დაკაბადონება. სერთიფიკატების ორიგინალ-მაკეტების დამზადება.**

მარჯანიშვილის 5
მე-4 სართული
ტელ: 96-91-73

**ფირმა «იმედი»**


სროლა

# არ მიყვარხარ!

თებერვლის მიწურულს ჰელსინკიში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე პნევმატური იარაღით სროლაში 48 მონაწილე ქვეყანას შორის საქართველოს ქალთა გუნდი იყო. ჩვენმა თოფსნელმა — ნინო სალუქვაძემ, ნინო [illegible] და ნინო ლაღაშვილმა პისტოლეტით სროლაში იასპარეზა და გუნდური მეთერთმეტე ადგილი დაიკავა. მათი თქმით, ეს არცთუ ურიგო შედეგია, თუ გავითვალისწინებთ იმ მიზეზებს, ჩვენს ჩუბინ მანდილოსნებს უკეთ გამოსვლის საშუალება რომ შეუბრკოლა. საქმე კი, როგორც სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა და დელეგაციის ხელმძღვანელმა გივი ბოსტოლანაშვილმა გვითხრა, ასე ყოფილა: რუსეთის მებაჟეებმა ჩვენ მსროლელებს პნევმატური იარაღის რუსეთ-ფინეთის საზღვარზე გადატანის უფლება არ მისცეს, თან ჯერ 1992 წლის კანონი, შემდეგ კი 1974 წლის ნორმატიული აქტი მოიშველიეს. უცნაური ის ყოფილა რომ ასეთი „ბუკვოედობა" მხოლოდ ქართველების მიმართ გამოუჩენიათ, მოლდაველები კი, მაგალითად ყოველგვარი შემოწმებისა და ჩხრეკვის გარეშე გაუტარიებიათ.

საქართველოს დელეგაციას ავსტრიული ფირმა „მანლიხერისთვის" უთხოვნია პისტოლეტები, იმათ კი მიუციათ, ოღონდ ოთხ სპორტსმენზე მხოლოდ სამი. იარაღის შეჩვევა-მორგებას საკმაო ხანი უნდა და ერთი დღით ხელში ტრიალით ვინ რას გახდება, თან ამას, ბუნებრივია, ფსიქოლოგიური სტრესიც დაერთო.

საბოლოოდ, პირად პირველობაში ნინო სალუქვაძემ 479 ქულით მერვე ადგილი დაიკავა, მაგრამ მაინც შეძლო საოლიმპიადო ლიცენზიის ნორმატივის შესრულება, რადგან პირველ ხუთ ადგილზე გასულებს ატლანტის საგზური უკვე დაბევებული ჰქონიათ. ახლა ნინო ზაარბრიუკენის ოლიმპიური მზადების ცენტრში ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გადის. ეს საქმე გერმანელთა კეთილი ნებისა და ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის მონადინების წყალობით გამოსულა.

ერეკლე კიკილაშვილი

ფეხბურთი

# ბენდელას თასი

აფხაზეთში გმირულად დაღუპული ფეხბურთელის ზაზა ბენდელიანის სახელობის მინიფეხბურთელთა ტურნირი — „ბენდელას" თასი უკვე მესამედ ჩატარდა. პირველი ჯგუფის რამდენიმე გუნდმა იგი მეორე წრისთვის მზადების ეტაპად გამოიყენა. მათი უპირატესობაც აშკარა იყო: რუსთავის „მეტალურგმა" ტურნირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა (ფინალში პენალტების სერიით 8:6 „ბენდელა — მორკინალს" სძლია), თბილისის „შევარდენი 1906"-მა კი ბაღდათის „ბასს" მოუგო 4:3 და მესამე ადგილზე გავიდა. ტურნირის სიძლიერეზე ისიც მიუთითებს, რომ ნახევარფინალში ვერ მოხვდა უმაღლეს დივიზიონში მოასპარეზე თელავის „კახეთი", მეორე დივიზიონში ლიდერთა ჯგუფში მყოფი „კრწანისი" და სხვა.

ტურნირზე, რომელიც კვლავაც კონცერნ „მორკინალის" პრეზიდენტის, ჯონი გიგანისა და ზაზა ბენდელიანის მეგობრის ქართლოს ჭუმბურიძის თაოსნობით მოეწყო, ბევრი პრიზი დარიგდა. ლაურეატებიც უმეტესწილად ცნობილი ფეხბურთელები იყვნენ: გუბაზ დოლიძე, ირაკლი გაბელია, ვასილ მაისურაძე, (ამ უკანასკნელს პრიზი ტრაპიზონიდან გამოუგზავნეს არველაძეებმა) რობერტო ზირაქაშვილი, მამუკა ფანცულაია, დავით ჩალაძე, გიორგი მჭედლიშვილი, კახა ჭუმბურიძე, დავით კვლიშვილი, გიორგი და ვარლამ კილასონიები, გრიგოლ ცაავა, ბესიკ ფრიდონაშვილი, მიხეილ ტყავაძე. საუკეთესო მოთამაშედ ამჯერადაც დათო სოლოღაშვილი აღიარეს. როგორც რევაზ ძოძუაშვილმა, ნოდარ აკობიამ, თემურ მახარაძემ, ოთარ გაბელიამ და სხვა მწვრთნელებმა აღნიშნეს, რომ ტურნირი საუცხოოდ იყო ორგანიზებული და გუნდებს მოსამზადებელ პერიოდში დიდი დახმარება გაუწია. ტურნირის ორგანიზატორებმა კი თქვეს, რომ მომავალი, მეოთხე გათამაშებაში უცხოეთის გუნდებიც იასპარეზებენ: კერძოდ, ქალაქ ვალენსიის ერთ-ერთი პროფესიული გუნდი, ბაქოს „ნეფთჩი", ვლადიკავკაზის „სპარტაკი" და სხვანი. შესაბამისად, მომავალი ტურნირის საპრიზო ფონდიც მეტად სოლიდური იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არეკნების ცვენა შიმოლას პარკში



ტრანსვაალმა (ზოლიან კვართებში) კვლავ დაამარცხა ახალი სამხრეთი უელსი

მსოფლიო თასის გამო წლევანდელი „ზე-ათის სერიალი" ერთი თვით ადრე დაიწყო. მავანნი მსოფლიო თასის წელს მისი გამართვის წინააღმდეგიც კი იყვნენ, მაგრამ მთავარმა სპონსორმა — „სამხრეთი აფრიკის ტელეხედვამ" (SABC) თავისი გაიტანა, აქაო და კონტრაქტი კონტრაქტია და კიდევ, სერიალს დიდძალი ფულიც შემოაქვსო.

ამ შეჯიბრების წინამორბედს „სამხრეთი ზღვისრეთის პირველობა" ერქვა. იგი სულ ხუთჯერ, 1986-90 წლებში გათამაშდა. თაოსანი ახალი სამხრეთი უელსის რაგბის კავშირი იყო. იგი საასპარეზოდ იწვევდა მეზობელ ქვინზლენდს, სამ ზელანდიელ ბობოლას — ოქლენდს, ქენთებრისა და ველინგთონს, აგრეთვე ზღვისრეთის მშვენება ფიჯს. პირველი ორი გათამაშება მოიგო ქენთებრიმ, ბოლო სამი კი — ოქლენდმა. 1987 წელს, მსოფლიო თასის გამო, გუნდებს საუკეთესო შემადგენლობებით არ უასპარეზიათ.

1991 წელს შეჯიბრება აღარ გამართულა. ერთი, რომ ახალი სამხრეთი უელსის რაგბის კავშირს ფული შემოელია. მეორეც, ოთაგო და ვაიქათო ქენთებრისა და ველინგთონს ჯობნიდნენ შინაურ სარბიელზე, მაგრამ სიდნეელი ორგანიზატორები შეჯიბრებაზე არ უშვებდნენ, აქაო და „სამხრეთი ზღვისრეთის პირველობა" მოწვევით ტარდება და არა შერჩევითო.

1992 წელს შეჯიბრება აღდგა და „ზე-ექვსის სერიალი" ეწოდა, 1993 წლიდან კი სამხრეთი აფრიკის პროვინციების შემატებით „ზე-ათად" გადაკეთდა. 1992 და 1994 წლებში გაიმარჯვა ქვინზლენდმა, 1993 წელს — ტრანსვაალმა. ამჟამინდელი დებულებით ათეულში შეყავთ ახალი ზელანდიის პირველობის ოთხივე ნახევარფინალისტი, სამხრეთაფრიკული ქარრის თასის სამივე პრიზიორი, ორივე ავსტრალიური ბობოლა შტატი და სამხრეთი ზღვისრეთის „სამკუთხედის" (ფიჯი — ტონგა — სამოა) ჩემპიონი. სამომავლოდ არგენტინის მოცვით მონაწილეთა გამრავალრიცხოვანებას და „ზე-თოთხმეტის სერიალის" დაფუძნებას ფიქრობენ.

წელს ათი მონაწილიდან ოთხი ახალბედაა. ესენი არიან ნარინჯი, დასავლეთი კონცხი, ქენთებრი და ტონგა, რომელიც მსოფლიო თასისთვის გაცხოველებით ემზადება.

ქენთებრი პარასკევს ეწვია შარშანდელ ჩემპიონ ქვინზლენდს და მაგრადაც წააგო. ბრისბენელებმა ორი ლელო გაიტანეს (შუამარბმა ჯეისონ ლითლმა და გარემარბმა პოლ კაროზამ). მორკინალმა ჯონ ილზმა ორი საჯარიმო და ერთი გარდასახვა შეაგდო, 10 ნომერმა პოლ კაპლმა და მცველმა მეთიუ პინიმ — თითო არეკნი. აღსანიშნავია, რომ ყველა ამათ სხვადასხვა დროს უთამაშიათ ავსტრალიის ნაკრებ „ვოლაბებში".

შაბათს სამხრეთ აფრიკაში ერთბაშად სამი თამაში გაიმართა. იოჰანესბურგელებმა პირველი ნახევარი 11:10 მოუგეს სიდნეელებს, საბოლოოდ კი 21:18 გაიმარჯვეს. მასპინძელთა სხვაგანაც 21-21 ქულა მოაგროვეს, ოღონდაც ნარინჯის გუნდმა მოიგო, კონცხისამ კი — წააგო.

სამხრეთ აფრიკაში ახლა შემოდგომის პირია, მაგრამ მაინც ცხელა. ზღვისპირა ქეიფთაუნში ტემპერატურა 25 გრადუსი ყოფილა, მაგრამ დანიდინელ სტუმრებს ოთხი ლელო მაინც გაუტანიათ. თავი გამოუჩენია „ოლ ბლექსის" გარემარბ ჯეფ ვილსონს, ვისაც ლელოთი, ორი გარდასახვითა და სამი საჯარიმოთი 18 ქულა მოუხვეჭია. სტუმართა დანარჩენი ლელოები ფრთის მორკინალებს — თიმ რენდელსა და ჯოშუა კრონფელდს, აგრეთვე 10 ნომერ სთივ ბეშოფს გაუტანიათ. ოთაგოს დასავლეთი კონცხი ერთობ დაუჩაგრავს როგორც დერეფანში, ასევე ლია თამაშში.

32 გრადუს სიცხესა და ჰაიფელდტის გაუხშოებულ ატმოსფეროს დაუცდია ახალი ზელანდიის ჩემპიონი ოქლენდი, რომელიც ბლუმფონტეინში, შიმოლას პარკში მდებარე იქაური უნივერსიტეტის სტადიონზე ქარრის თასის შარშანდელი გათამაშების ფინალში ტრანსვაალის მიერ ძლეულ ნარინჯს ეთამაშებოდა. მატჩი ყოვლმხივ გადასარევი გამოვიდა: ლელო არ გასულა; სამაგიეროდ, ერთბაშად ექვსი (!) არეკნი გავიდა. პირველი ნახევარი ზელანდიელებმა 15:9 მოიგეს — მცველმა შეინ ჰოვართმა სამი საჯარიმო და ერთი არეკნი გაიტანა, შუამარბმა ლიი სთენსნესმა კი — ერთი არეკნი. შესვენების შემდეგ ოქლენდი დაამარცხა ნარინჯის 10 ნომერმა ერიკ ჰერბერთმა. მან ამ დღეს სამი საჯარიმოთი და სამი არეკნით 18 ქულა მოაგროვა. კიდევ ერთი არეკნი ნარინჯელი ჰენდრიკ ტრუტერის ანგარიშზეა. ისე კი, ოქლენდმა ერთობ მოისაკლისა შონ ფითსპატრიკი, ზინზან და რობინ ბრუქები და რიჩარდ ფრომონთი, რომლებიც ეროვნული ჩემპიონატის შარშანდელ ფინალში ხულიგნობის გამო მცირე ხნით დისკვალიფიცირებული არიან.



ოთაგოელი და „ოლ ბლექსელი"
ჯეფ ვილსონი

„ზე-ათის სერიალი" — SUPER TEN SERIES
სამხრეთი ნახევარსფეროს პროვინციათა პირველობა

„ა" ქვეჯგუფი. 3 მარტი: ქვინზლენდი (ბრისბენი, ავსტრალია) — ქენთებრი (ქრაისთჩერჩი, ახალი ზელანდია) 24:6. 4 მარტი: ნარინჯი (ბლუმფონტეინი, სამხრეთი აფრიკა) — ოქლენდი (ახალი ზელანდია) 21:15. ამავე ქვეჯგუფში თამაშობს ტონგა (ნუკუალოფა)

„ბ" ქვეჯგუფი. 4 მარტი: დასავლეთი კონცხი (ქეიფთაუნი, სამხრეთი აფრიკა) — ოთაგო (დანიდინი, ახალი ზელანდია) 21:33; ტრანსვაალი (იოჰანესბურგი, სამხრეთი აფრიკა) — ახალი სამხრეთი უელსი (სიდნეი, ავსტრალია) 21:18. ამავე ქვეჯგუფში თამაშობს ჩრდილოეთი ნავსაყუდელი (ტაკაპუნა, ახალი ზელანდია)

ყაფლან ჯანდიერი

# ისტორიას გამეორება სჩვევია

ხუთი ერის პირველობა. IV ტური. 4 მარტი

შოტლანდია 26 (20) — უელსი 13 (7)

შოტლანდია: გ. ჰეისთინგსი; ჯოინერი, ს. ჰეისთინგსი, თაუნსენდი, ლოგანი; ჩალმერსი, რედფასი; რაითი, მილნი, პილთონი; ვიარი, ქემბელი; მორისონი, ვეინრაითი, პიტერსი. — 2ლ: პიტერსი (11:7), პილთონი (18:7); 2გ (13:7, 20:7) და 4ს (3:7, 6:7, 23:7, 26:13): გ. ჰეისთინგსი

უელსი: ბექი; ი. ევანსი, ჰოლი, ნ. დევისი, პროქტორი; ნ. ჯენქინსი, რ. ჯოუნზი; გრიფითსი, გ. ჯენქინსი, ჯონი; დ. ჯოუნზი, ლუელინი; ჰ. თეილორი, ქოლინზი, ლუისი. — ლ: რ. ჯოუნზი (0:5); გ (0:7) და 2ს (23:10, 23:13): ნ. ჯენქინსი

მსაჯი ლანდერი (ინგლისი)

ირლანდია 7 (0) — საფრანგეთი 25 (3)

ირლანდია — ლ: №14 გეგანი (5:15); გ (7:15). საფრანგეთი — 4ლ: №10 დელეგი (0:8), №8 სესიიონი (0:13), №14 ნტამაკი (7:20), №11 სანტანდრე (7:25); გ (0:15) და ს (0:3): ნტამაკი

ისტორიას გამეორება რომ სჩვევია, წლევანდელმა ხუთი ერის პირველობამაც დაადასტურა. ისევე როგორც ამ ხუთი წლის წინათ, ახლაც ბოლო ტურში ერთბაშად სამ ჯილდოს — აწ უკვე არსებულ საჩემპიონო თასს, კვლავაც წარმოსახვითს დიდ სლემსა და 1870-იანი წლებისეულ კალკუტის თასს შეეცილებიან ერთმანეთს ძველი მეტოქეები — ინგლისი და შოტლანდია.

1990 წელს მასპინძლობის რიგმა სქოთებს მოუწიათ და მათაც 13:7 გაიმარჯვეს. წელს დიდი მატჩი თვიქნემში გაიმართება, იქ კი შოტლანდიელებს სულ ოთხჯერ გაუმარჯვნიათ. თუმცაკი, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს: სქოთებს პარიზშიც ვერ მოეგოთ 1969 წლიდან მოყოლებული, წელს კი ნავსი გატეხეს და ბოლოსდაბოლოს გაიმარჯვეს.

ინგლისი ბოლოსწინა, მეოთხე ტურში ისვენებდა. ვინაიდან ნაკრების მოთამაშეები ახალი წლის შემდეგ ქვეყნის ჩემპიონატში აღარ მონაწილეობენ — ემანდ, მსოფლიო თასისთვის არ დაგვიშავდნენო, — სელექტორებმაც გაბედეს და თვიქნემის „ფინალამდე" თითქმის ერთი თვით ადრე, 22 თებერვალსვე გამოაცხადეს, რომ მესამე ტურში უელსის მძლეველ შემადგენლობას არ შეცვლიან და შოტლანდიასაც შეახვედრებენ.

პარიზის ისტორიულმა მოგებამ სქოთებს შუამარბი ჯარდინი გამოაკლო. მას ყურიმალი კი ჩამტვრეოდა, მაგრამ მაინც ბოლომდე გაუძლო. ამიტომ იყო, უელსის წინააღმდეგ ჯარდინი რომ შეცვალა სქოთ ჰეისთინგსმა, ვინაც კაპიტან გევინ ჰეისთინგსის უმცროსი ძმა კია, მაგრამ ნოემბერში სამხრეთ აფრიკასთან წაგების შემდეგ ნაკრებიდან მაინც მიაბრძანეს.

სქოთებმა შარშან კარდიფში 6:29 წააგეს. თამაში მათთვის ახლაც მარცხიანად დაიწყო. მე-2 წუთზე უელსელებმა დერეფანი მოიგეს, შუამარბი დევისი წინ გაიჭრა, მერე მორკინალმა ემირ ლუისმა გააგრძელა იერიში, ვეტერანმა 9 ნომერმა ჯოუნზმა კი კარს უკან ლელო გაიტანა. ეს იყო და ეს. მასპინძლები ნელ-ნელა ათამაშდნენ. მათი მორკინალები უელსისას აშკარად სჯობდნენ, რის გამოც სტუმართა უკანა ხაზს ბურთი შესატევად ხეირიანად არც მისცემია. იმ ერთ-ორ შემთხვევაში კი, როცა უელსს რაღაცის შანსი გაუჩნდა, გუნდში დაბრუნებულმა შუამარბმა პოლმა კარგადაც გაინავარდა, მაგრამ ალაგმეს.

მასპინძელთა უპირატესობას მათ სასარგებლოდ საჯარიმოების დანიშვნა მოყვა. კაპიტანმა ჰეისთინგსმა მე-7 და მე-8 წუთებზე კარს ააცდინა ბურთი, მაგრამ მე-18 წუთისთვის ორის გატანა მოასწრო 6:7. მერე იყო, პიტერსმა პოლის გარღვევა რომ მოიგერია, 32-ე წუთზე კი მასპინძლებმა პირველი ლელო გაიტანეს: კაპიტანმა და ვეინრაითმა კონტრიერიში წამოიწყეს, მერე კი ლოგანმა ბევრი ირბინა და ლელო პიტერსს გაატანინა. შესვენებამდე მასპინძელთა მრავალფაზიანი, ძალისმიერი შეტევა ბურჯ პილთონის ლელოთი დასრულდა. გევინ ჰეისთინგსმა ორივე ლელო გარდასახა, შესვენების შემდეგ კი უმძლავრესი დარტყმით თავისი ნახევრიდან უკვე მერამდენედ შეაგდო საჯარიმო 23:7.

შემდეგაც შოტლანდია მძლავრობდა. 63-ე და 65-ე წუთებზე ჯენქინსის მიერ გატანილი ორი გოლი უფრო უელსელთა იღბლიანობის ეპიზოდები იყო. 68-ე წუთზე ჰეისთინგსმა მეოთხედაც გაიტანა საჯარიმო, მერე კი მოეშვა და ხელი ორჯერ მოეცარა. 75-ე წუთზე უელსმა ბურთი მეტოქის ლელოსკენ გაგორა და ხუთმეტრიანი შერკინებაც მოიპოვა, მაგრამ საქმეში თანმსაჯი ჩაერია და მსაჯს პოლი დააჯარიმებინა, აქაოდა მეტოქეს უხეშად ჩაარტყაო, ჰეისთინგსმა კი სულ ბოლო საჯარიმო რომ გააფუჭა, თოვა დაიწყო.

ირლანდიას ბოლო 20 წლის მანძილზე ერთადერთხელ — 1983 წელს, დუბლინში დაემარცხებინა საფრანგეთი. „ლენზდაუნ როუდზე" მასპინძლები, ჩვეულებრივ, თავიდან იგებენ ხოლმე, მაგრამ მერე იღლებიან, მატჩის ბოლოსთვის აბურთავებულ ფრანგებს ვეღარაფერს უხერხებენ და ლელოებსაც ბლომად უშვებენ ხოლმე.

ახლაც თითქმის იგივე განმეორდა. წინა თამაშებთან შედარებით მასპინძლებს შეეცვალათ კვეჭი (ვუდი კინგსტონით), 10 ნომერი (ბერქი ელვუდით) და მცველი (ოშეი სტეიპლზით). მერე, მატჩამდე ორი დღე რომ დარჩა, ირლანდიას ორი მორკინალიც გამოაკლდა: 8 ნომერ პედი ჯონსს ბრმა ნაწლავმა შემოუტია. მისი ადგილი ერგო 35 წლის რკინიგზის ინჟინერ დეივი თვიდს, რომელმაც ნაკრებში ამ დღეს პირველად ითამაშა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | 74:27 | 9- 2 | 6 |
| შოტლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 75:47 | 6- 6 | 6 |
| საფრანგეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 77:70 | 10- 6 | 4 |
| უელსი | 3 | 0 | 0 | 3 | 31:70 | 1- 7 | 0 |
| ირლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 28:71 | 4- 9 | 0 |

ბოლო ტური. 18 მარტს: უელსი — ირლანდია; ინგლისი — შოტლანდია

თამაში ქარში მიმდინარეობდა. ირლანდია თავიდან გაუძალიანდა სტუმრებს, რომლებსაც დაეთხოვათ სულ ექვსი კაცი, მათ შორის დამრტყმელი ლაკრუა, დერეფნის მომგები რუმა და 8 ნომერი ბენეტონი. სტუმრები შერკინებით, მჭიდროდ უტევდნენ. მეორე ტაიმის პირველ ნახევარში ახალმა 10 ნომერმა იან დელეგმა და რეაბილიტირებულმა შერკინების შემკვრელმა მარკ სესიიონმა გაიტანეს ლელოები. მერე გეგანის სოლოს შემდეგ მასპინძლებს ცოტა კი მიეცათ გული, მაგრამ ბოლო წუთებზე სტუმართა გარემარბებმა კვლავ ორი ლელო გაიტანეს. მასპინძელთა ვეტერან შუამარბ ბრენდან მალინს მხარი ეტკინა, რის გამოც დააკლდება უელსთან თამაშს, რომლის წამგებსაც იარლიყად ჩვენებური ბორჩალოს სინონიმი — ხის კოვზი მიეკერება.



მაიკ ჰოლმა სქოთებს მარტომ ვერაფერი დააკლო

ზაზა ფხაკაძე

## თეოს ექიმი შემოელახა

ლოლანი კოკოსა და ბრაიან ლიმას ლიგის რაგბში გაქცევის შემდეგ დასავლეთ სამოას რაგბის ნაკრებმა მესამე გარემარბიც მოისაკლისა: თებერვლის დამდეგს ამ ზღვისრეთული ქვეყნის დედაქალაქის — აპიას შეიდკაცას დროს 24 წლის თეო სამანიას შემოლახვია შეჯიბრების ექიმი, რის გამოც მისთვის ექვსკვირიანი დისკვალიფიკაციაც დაუდგენიათ და იგი ნაკრებიდანაც დაუთხოვიათ. წლევანდელ მსოფლიო თასზე სამოას ქვეჯგუფში ინგლისთან, არგენტინასთან და იტალიასთან თამაში უწევს.

ლიგა

## უელსი რაღაცაში მაინც ვარგებულა

პარასკევს ოქლენდის საავადმყოფოში გარდაიცვალა ნიუელი (კუნძულის) ფოლანი ლატუა, ვინაც ოთხშაბათს „ოქლენდელი მეომრებისა" და „ჩრდილოეთი ნავსაყუდლის" თამაშში ბურთს უხერხულად დაახტა და კისერი მოიტეხა.

კვირას კი კარკასონში უელსმა სტუმრად 22:10 სძლია საფრანგეთს და პირველად 1938 წლის შემდეგ „ევროპის ჩემპიონი" გახდა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 2 | 0 | 0 | 40:26 | 4 |
| ინგლისი | 1 | 0 | 1 | 34:34 | 2 |
| საფრანგეთი | 0 | 0 | 2 | 26:40 | 0 |

## კრივი



# ფორმენს პატივი აყარეს

კრივის მსოფლიო ასოციაციამ, რომლის ბინაც ლას-ვეგასის ჯიბრზე მეორე სამორინო ქალაქ ატლანტიკ-სითიშია, შაბათს, 4 მარტს მძიმეწონოსანი მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა 47 წლის ამერიკელ მღვდელ ჯორჯ ფორმენს, რომელმაც იგი შარშან, 5 ნოემბერს მასზე 18 წლით უმცროსი მაიკლ მორერის გალახვით 20 წლის შემდეგ დაიბრუნა.

ასოციაციის განაჩენი მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. ფორმენი მრავალჯერ გააფრთხილეს, 5 მარტამდე ნომერ პირველ პრეტენდენტ ტონი თაქერს შეები, თორემ ტიტულს უბრძოლველად დაკარგავო. ჯორჯმა და მისმა მენეჯერმა ბობ არამმა ყურიც არ ათხოვეს ასოციაციის მუქარას და დაიჟინეს, რომ 22 აპრილს კრივის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გერმანელ აქსელ შულცს ერკინონ. სხვათა შორის, ფორმენი ამ გაერთიანების ვერსიით კვლავაც მსოფლიო ჩემპიონი რჩება.

არამმა განაცხადა, რომ ასოციაციას სასამართლოში უჩივლებს. უეჭველია, რომ საქმის განხილვა გაჯანჯლდება, რაც უთუოდ კიდევ გაამრავალფეროვნებს უამისოდაც მჩქეფარე საერთაშორისო საკრივო ცხოვრებას, რაც, თავის მხრივ, იმის გარანტიაა, რომ კრივს ქომაგი და სპონსორი არ მოაკლდება, რის გამოც პროფესიულ კრივში კვლავაც დიდძალი ფული იტრიალებს.

მართლაც, ჰონორარებით კრივი ხომ პირველ ადგილზეა ყველა სხვა სპორტთან შეჯიბრში!

ვალერი ჯიქია

# კრივის გამო პარლამენტიც იმსჯელებს



25 თებერვალს ბრიტანელი მაიკ ბენის მიერ სასტიკად გვემული ამერიკელი ზესაშუალოწონოსანი ჯერალდ მაკლელანი (ფოტოზე) კვლავაც ლონდონის სამეფო ჰოსპიტალში უგრძნობლად წევს. მოკრივეს ტვინი აქვს შეშუპებული; მდგომარეობა მძიმე, მაგრამ სტაბილურია. ექიმთა მტკიცებით, მაკლელანი კი გადარჩება, მაგრამ ხეიბრად დარჩება.

მეტოქის ასეთ დღეში ჩაგდებას შეუძრავს გამარჯვებული ჩემპიონი. იგი წლის ბოლომდე კიდევ ორ კრივს გეგმავდა, მაგრამ ახლა განუცხადებია, თუ მაკლელანი მოკვდება, სპორტს მეორე დღესვე თავს გავანებებო.

ბრიტანულ მედიაში მორიგი დიდი დისკუსიაა გაშლილი იმ ხიფათის გამო, კრივი, მეტადრე კი პროფესიული, რომ უქადის თავად მონაწილეებს. მოკამათენი ერთი საკითხის გამო იოლად თანხმდებიან: კრივის აკრძალვის მოწინააღმდეგეებიცა და მომხრეებიც აღიარებენ, რომ ეს სპორტი ვერასდროს გახდება აბსოლუტურად უხიფათო. იმასაც იხსენებენ, ბოლო ათწლეულში ტრავმატიზმისა და სიკვდილიანობის შესამცირებლად საჩემპიონო შერკინებანი ძველებური 15 რაუნდის ნაცვლად 12 რაუნდამდე რომ შეამოკლეს. ახლა თურმე უფრო შორსაც აპირებენ წასვლას და ფიქრობენ ოდენ ექვსრაუნდიანი ბრძოლების შემოღებას, რასაც, ერთობ საეჭვოა, რომ ტელევიზია დაყაბულდეს.

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფ ღონისძიებებზე, რაღა თქმა უნდა, თვით კრივის მამებიც ფიქრობენ. ბრიტანეთის კრივის საბჭოს მდივანი ჯონ მორისი ამ თემაზე სამსჯელოდ 28 თებერვალს კრივის მსოფლიო საბჭოს ბინაზე, ლას-ვეგასში ჩაფრინდა და ამ გაერთიანების პრეზიდენტს, მექსიკელ ხოსე სულეიმანს ეთათბირა. იმავე საღამოს პრეზიდენტმა გამართა პრეს-კონფერენცია, სადაც თქვა, რომ კარგა ხანია, რაც მოუფიქრებინებია კბილების ორმაგი დამცავი, რომელიც ესოდენ სავალალო შედეგებს გამორიცხავს. მაკლელანის ტრაგედია კატალიზატორი იქნებაო საამისოდ, ამ დამცავის ხმარება სავალდებულო რომ გავხადოთო, — განუცხადებია სულეიმანს.

ტრაგედიის ადგილზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა არ უკმარიათ. ამ ათი წლის წინათ ბრიტანელ ექიმთა ასოციაციას შეუდგენია კომისია, რომელსაც მოკვლევის შედეგად ხელისუფლებისათვის კრივის აკრძალვა ურჩევია. ანალოგიური კომისია ახლაც შექმნილა. მას თავკაცობს პროფესორი გრეგ მაკლეჩი, ვინაც ჭაბუკობაში მოყვარული მოკრივე ყოფილა. კომისიას თურმე ერთობ აწუხებს ის ამბავი, რომ ბოლო 25 წლის მანძილზე კრივს ბრიტანეთში 14 კაცი შეეწირა. ექიმებს აღარ აკმაყოფილებთ რინგის გვერდიდან პასიურ დამკვირვებლად ყოფნა და ითხოვენ, თუ მოასპარეზეებს მოახლოებული უბედურების ნიშნებს შევატყობთ, ნება გვიბოძეთ, რინგზე რომ ავიჭრეთ და რეფერის შერკინება შევაწყვეტინოთო.

ეს თხოვნა თხოვნად, ისე კი, კომისია ალბათ კრივს ჯანმრთელობისათვის საზიანოდ შერაცხავს და მაშინ პარლამენტს მისი აკრძალვის გამო მორიგი დებატების დაწყება მოუწევს.

## ჩოგბურთი

# ფილიპოსისი, კრაიჩეკი, ნავრატილოვა, კაპრიატი და სხვ.

წინა კვირაში (27.II - 5.III) ვაჟთა ასოციაციის ტურის სამი, ქალთა ასოციაციის ტურის კი – ერთი შეჯიბრება გაიმართა.

არიზონას შტატის ქალაქ სქოთსდეილში ფურორი მოახდინა 18 წლის ავსტრალიელმა მარკ ფილიპოსისმა, რომელმაც თავი პირველად ავსტრალიის წლევანდელ ღია პირველობაზე გამოიჩინა, ამჯერად კი ტურის შეჯიბრებაში ოდენ მეხუთედ მონაწილეობდა. კლასიფიკაციის 272-ე საფეხურზე მდგომმა ახალბედამ ჯერ რუს ჩესნოკოვს მოუგო ორ ხელში, მერე – შვედ ბიორკმანს 3:6, 6:4, 6:4, ნახევარფინალში კი მარკმა პირველ ნომრად განთესილი ტოდ მარტინი 7:6, 6:3 დაამარცხა და პირველად გავიდა დიდი შეჯიბრების ფინალში, სადაც 6:7, 4:6 წააგო მეორე ნომერ ჯიმ კურიესთან, ვინაც ნახევარფინალში სტეფან ედბერგს (3) 6:4, 6:7, 6:4 მოუგო.



როტერდამში ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა მასპინძელმა, ჰოლანდიელმა რიხარდ კრაიჩეკმა (ფოტოზე), თუმცაკი განთესვისას მხოლოდ მეხუთე იყო. პირველი, გერმანელი ბეკერი შეჯიბრებას დაწყებამდე გამოაკლდა – მუხლი ასტკივდა. რუსი კაფელნიკოვი (2) ნახევარფინალში გაავდო ჰოლანდიელმა პაულ ჰაარჰიუსმა (4) 3:6, 6:3, 7:6, სამხრეთაფრიკელი ფერეირა (3) – ადრევე, ამერიკელმა ჯეფ ტარანგომ, რომელსაც მეოთხედფინალში იმავე ჰაარჰიუსმა 6:4, 6:4 აჯობა. ჰაარჰიუსმა ფინალი 6:7, 4:6 წააგო კრაიჩეკთან, რომელმაც ნახევარფინალში იტალიელი ომარ კამპორეზე ორ ხელში დაამარცხა.

მეხიკო-სითიში ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა ავსტრიელმა თომას მუსტერმა, ვინაც ფინალი 7:6, 7:5 მოუგო ბრაზილიელ ფერნანდუ მელეგინს.

ქალები ინდიან-ველზში, ევერტის თასისთვის ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. შეჯიბრების დაწყებამდე უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონი, ესპანელი კონჩიტა მარტინესი, რომელიც მეორე ნომრად იყო განთესილი, და მისი ჰოლანდიელი მწვრთნელი ერიკ ვანპაფენი გაიყარნენ. მიზეზი ყოფილა მარტინესის დობილი ჯიჯი ფერნანდესი, ვისაც კონჩიტა თურმე მწვრთნელზე მეტად უჯერებდა, რის გამოც უიმბლდონის მერე ერთადერთი შეჯიბრილა მოუგია.

ინდიან-ველზში მარტინესმა კატარინა მალეევასთან 6:2, 6:2 მოგებით კი დაიწყო, მაგრამ მეოთხედფინალში მერიჯო ფერნანდესთან 6:7, 2:6 წააგო. ამავე სტადიაზე სანჩეს-ვიკარიომ (1) მოუგო ამერიკელ ჩანდა რუბინს, ბელორუსმა ზვერევამ (4) – „ყაზახ" ლიხოვცევას 6:4, 6:0, ამერიკელი დავენპორტი (3) კი დამარცხდა იაპონელ სავამაცუსთან 6:4, 4:6, 6:7. ნახევარფინალებში ნატაშა ზვერევამ თვით არანტა დაამარცხა 7:5, 6:3, ფერნანდესმა კი სავამაცუს 6:4, 6:1 მოუგო. კვირას გაწვიმდა და ფინალიც ორშაბათისთვის გადაიდო. გაიმარჯვა მერვე ნომრად განთესილმა მერიჯომ 6:4, 6:3.

წინა კვირაშივე კაპიტანმა ქალმა ბილი-ჯინ კინგმა გამოაცხადა აშშ-ის ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა ფედერაციის თასისათვის, რომელიც წელს პირველად ჩატარდება ვაჟთა დევისის თასის ანალოგიური ფორმულით. ათქალიან გუნდში ირიცხება 39 წლის მარტინა ნავრატილოვაც, რომელმაც საშეჯიბრებო ჩოგბურთს თავი ოთხი თვის წინ დაანება. ბებერი მარტინა თურმე ჯიჯი ფერნანდესთან ერთად წყვილში თამაშს აპირებს.

ამასობაში ისიც გამოცხადდა, რომ გამოსწორებული ნარკომანი ქალის – ჯენიფერ კაპრიატის სარბიელზე დაბრუნება ამ ერთხელაც გადადებულა. ჯენიფერი თურმე ვერ იასპარეზებს კიბისკეინის ტურნირში, რომელიც შემდეგ კვირაში უნდა გაიმართოს. კაპრიატიმ ორგანიზატორები ამის წინა ჯერზე იანვარში, ავსტრალიაში დაალალატა: ამათ „ვაილდ ქარდიც" (პერსონალური მიწვევაც) კი გაუხერხეს, მაგრამ სულ ტყუილად.

ირაკლი ნიჩუა

## მძლეოსნობა

# ვაი ასეთ ჩემპიონატს!

დღეს ბარსელონაში ჭერქვეშა მსოფლიო პირველობა კი იწყება, მაგრამ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია ერთობ ნირწამხდარი ჩანს იმის გამო, რომ ერთობ ბევრ ვარსკვლავს მოისაკლისებს.

წინა უქმეებზე ამერიკელებმა ატლანტაში თავიანთი ჭერქვეშა პირველობა გამართეს. შედეგთა უმეტესობა საშუალო დონისა იყო. მონაწილეებმა თავი იმართლეს, ფორმაში შევდივართ, პიკს აგვისტოსათვის, ნაღდი მსოფლიო ჩემპიონატისათვის რომ მივაღწიოთო.

და მაინც, ატლანტაში ერთი მსოფლიო რეკორდი მაინც დამყარდა. თავი ისევ 400 მეტრზე მორბენალმა მაიკ ჯონსონმა გამოიჩინა. მან თავისსავე ძველ ჭერქვეშა მიღწევას 0,34 წამი ჩამოათალა და 44,63 დააფიქსირებინა. ჯონსონი 1990 წლის შემდეგ არავის დაუმარცხებია, მაგრამ ბარსელონაში ასპარეზობას მაინც არ აპირებს. მას მხარს უბამენ სპრინტერები: გვენ ტორენსი (ქალია!) და დენის მიჩელი.

ბარსელონაში არ იასპარეზებს არც ბრიტანელი სპრინტერი ლინფორდ ქრისტი. ბირმინგემში ბრეითვეითთან წაგებიდან ორი დღის თავზე რაგინდარა ტიტულის მფლობელი ბრიტანელი სტოკჰოლმშიც დამარცხდა – ამჯერად კანადელ დონოვან დეილისთან, ვინაც 60 მეტრის გარბენას 6,57 წამი მოანდომა. ქრისტი გამარჯვებულს ერთი მეასედით ჩამორჩა, მაგრამ სულ რაღაც ხუთი დღის შემდეგ, 4 მარტს, გერმანიის ქალაქ ზილდენფინგენში რევანში აიღო – დისტანცია 6,49 წამში გალია და ბეილი შორს მოიტოვა.

გამარჯვებულმა ჩემპიონმა იქვე ინტერვიუ მისცა გერმანიის ტელევიზიას და განაცხადა, რომ ბარსელონაში ასპარეზობა ისევ გადაიფიქრა, რადგანაც თურმე ერთობ გადაღლილია. ამან ერთობ გაანაწყენა იააფ-ის პრეს-ატაშე ქრისტოფერ ვინერი, ვინაც ქრისტის საქციელი ჩემპიონისთვის შეუფერებლად შერაცხა და ისიც დაამატა, დროზე რომ ეთქვა უარი, კიდევ ჰო, ახლა კი შეჯიბრების იმიჯს ერთობ დიდი ზიანი მიაყენაო.

ბარსელონაში ვერ იასპარეზებს ვერც ჯონ რიჯისი, ვინაც სტოკჰოლმში 200 მეტრზე რბენისას წაიქცა და მაგრად დაშავდა, რუსი პრივალოვა კი თურმე ამიერიდან 400 მეტრზე რბენაში დახელოვნებას აპირებს, რაშიც უფრო მოკლე დისტანციებზე რბენა ხელს შეუშლის.

ჭერქვეშა ჩემპიონატის ორგანიზატორებს კენიელი მოუზეს კიპტანუის იმედილა ჰქონიათ. თუმც ისიც ორჭოფობს, მაგრამ თუ დაყაბულდა და 3 000 მეტრზე ირბინა, მოხეირე შეჯიბრს არ მოკლდებაო.



1 მარტს ოქსფორდშირის მაგისტრატურამ 350 გირვანქით დააჯარიმა და მანქანის მართვის უფლებაც ერთი კვირით ჩამოართვა დეიმონ ჰილს, ვინაც თავისს „რენოს" მე-4 მაგისტრალზე 102 მილ-საათი (164 კმ-სთ) სიჩქარით მიაქანებდა. ფორმულა-1-ის გრანდმა თავი იმით იმართლა, სატელევიზიო ინტერვიუზე მიმეჩქარებოდა და სიჩქარის ლიმიტიც ამიტომ დავარღვიეო.

## აქეთური, იქითური

აფროსანთა „ამერიკის თასი" 144 წელია, რაც თამაშდება, მაგრამ ესოდენი გაუსაძლისი სირცხვილი აქამდე არავის უჭამია. კვირას, სან-დიეგოს აკვატორიუმში მიმდინარე შესარჩევი რბოლის დროს ნაპირიდან სამი კილომეტრის მოშორებით ჩაიძირა ავსტრალიური იახტა „ვან ოსტრეილია". 20-[illegible] [illegible] და [illegible] 12 ფუტის (სამნახევარი მეტრის) სიღრმეზე წყალში ჩაიყურყუმელავა. ეკიპაჟის 17-ვე წევრი გადაარჩინეს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებმა, რისთვისაც ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის პოლ ქითინგის მადლობაც დაიმსახურეს. მადლობა მადლობად, ისე კი, მთელი ავსტრალია თურმე ჰკვირობს, იახტა, რომელიც ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აღიჭურვა და რომლის აგებასაც 8 მილიონი დოლარი მოხმარდა, ესოდენ უმწეო რატომ გამოვიდაო. რაც შეეხება იახტის კაპიტან ჯონ ბერტრანს, რომელიც „ამერიკის თასის" ერთადერთი არა-ამერიკელი გამარჯვებულია, მას იხტიბარი არ გაუტეხია, ფილოსოფიურად შეაფასა მომხდარი და ხომალდის შეკეთებასაც შეუდგა.

*

წინა კვირაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი ჩაბრძანდა ბელგრადს და ეთათბირა იქაურ პოლიტიკურ ლიდერებს — მილოშევიჩსა და ლალიჩს, რის შემდეგაც მსოფლიო სპორტის ხელისუფალმა განაცხადა, რომ სულ მალე სოკ-ი იუგოსლავიას ახსნის ყადაღას, 1992 წლის მაისში გაეროს მითითებით რომ დაადო. სანქციები იმავე გაეროს რჩევით შარშან სექტემბერში გარკვეულწილად შემსუბუქებულა, ახლა კი მსჯელობა მათი სრული გაუქმებისა და საერთაშორისო სპორტში იუგოსლავიის (სერბიისა და ჩერნოგორიის) სრულფასოვანი მონაწილეობის გამო თუღაა.

*

შარშან ივლისში დაარსდა პროფესიული გოლფის მეხუთე ტური — აზიისა. წინა კვირაში ჰონკონგში გამოქვეყნდა ამ ტურის პირველი სეზონის პროგრამა, რომელშიც, რაგინდ უცნაურადაც გვეჩვენოს, ორი ტოტალიტარული (და ამდენად — არასაგოლფო) ქვეყნის: ვიეტნამისა და ბირმის ღია პირველობებიცაა შეტანილი. სულ ტური 13 ქვეყანაში გასამართ 20 ტურნირს მოიცავს, რომელთა ჯამური საპრიზო ფონდიც 5 მილიონ დოლარს აღემატება. სხვების წამხედურობით აზიელებსაც ოთხი უმთავრესი („მეიჯორ") შეჯიბრება დაუგეგმავთ. ესენი არიან დუბაის ღია პირველობა (ოქტომბერში), აზიის ღია პირველობა (დელიში, ნოემბერში), აზიის ასოციაციის პირველობა (რომლის გამართვის ადგილი და სპონსორი ჯერაც გასაიდუმლოებულია) და ჰონკონგის ქლიარ-ვოთერ-ბეის ტურნირი. ამ უკანასკნელს „მეიჯორობას" ერთი პირობა მალაიზიის „მასტერსი" (კუალალუმპურში რომ იმართება) ეცილებოდა. თითოეული ამ შეჯიბრის საპრიზო ფონდი 500 ათასი დოლარია. ტურში მონაწილეობის ლიცენზია 90 აზიელსა და 30 „უცხოელს" ერგება.

*

მას შემდეგ, რაც 31 ჩინელი სპორტსმენი ამხილეს დოპინგის ხმარების გამო, ქვეყნის ხელისუფლებამ პრობლემის გადაჭრა რეპრესიებით სცადა. საამისოდ გამოიცა დროებითი კანონი, რომლის თანახმადაც მედოპინგეებს დააპატიმრებენ, ჯილდოებსა და ჰონორარებს ჩამოართმევენ და ისეთ ჯარიმებსაც დააკისრებენ, ჰონორარს ხუთჯერ რომ აღემატებოდეს. ამ ღონისძიებათა გამოქვეყნების შემდეგ ჩინელებმა მოკრძალებით სთხოვეს წყნარი ოკეანის ცურვის ჩემპიონატის ორგანიზატორებს, იქნებ ეხლა მაინც შეგვიწყალოთ და შეჯიბრზე აღგვადგინოთო.

*

გერმანელებს აქამდე ჰგონებიათ, რომ მხოლოდ გდრ-ის ტერიტორიაზე განლაგებულ სპორტულ ცენტრებში წარმოებდა დოპინგ-ცდები და რეკორდსმენ-ჩემპიონების გამოზრდა. ახლა ეჭვი ქვეყნის დასავლეთ ნაწილზეც მიუტანიათ და კელნისა და ლევერკუზენის საწვრთნელი ბანაკების შემოწმებასაც აპირებენ.

*

საფრანგეთში დაწყებულა ხუთი ჟოკეის სასამართლო. მათ კოკაინით ვაჭრობა ბრალდებათ. თუ სასამართლომ განსასჯელები დამნაშავეებად სცნო, ამათ ათწლიანი პატიმრობა არ ასცდებათ.

აქეთური, იქითური


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

ინდექსი 66441

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29; წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მექვაბიშვილი, მამუკა ჩიხლაძე (ტექნიკური რედაქტორი)
კომერციული დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
ტექნიკური დირექტორი კოტე იაშვილი